პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო
КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი
№ 230 (12438)
შაბათი, 29 სექტემბერი, 1962 წ.
ფასი 2 კაპ.

ჩვენი სახალხო მილიცია

ПРАВДА

27 სექტემბრის მოწინავე

დღეს პრესაში ქვეყნდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ყოველწლიური დღესასწაულის — „საბჭოთა მილიციის დღის" დაწესების შესახებ. ეს ბრძანებულება გამოხატავს საყოველთაო-სახალხო ყურადღებას ჩვენი მილიციისადმი, ადამიანებისადმი, რომლებიც შეუნაცვლებელ ვახტს ეწევიან საზოგადოებრივი წესრიგის სადარაჯოზე. საბჭოთა ადამიანებმა კარგად იციან, თუ რა კეთილშობილურ მიზნებს ემსახურება მილიცია. ბურჟუაზიული პოლიციისაგან განსხვავებით, რომელიც ზემოდან უთვალთვალებს ხალხს, ჩვენი მილიცია, როგორც ვ. ი. ლენინი განსაზღვრავდა, მთელი ხალხის ინტერესებს გამოხატავს და ხალხს ემსახურება.

საბჭოთა მილიცია დიდი ოქტომბრის ღვიძლი შვილია. იგი შეიქმნა როგორც რევოლუციური წესრიგის დაცვის ორგანო ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ინიციატივით საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მესამე დღეს, 1917 წლის 28 ოქტომბერს (10 ნოემბერს), და მიმდინარე წელს აღნიშნავს თავის ორმოცდამეხუთე წლისთავს. საბჭოთა მილიციის ისტორიაში ბევრია ბრწყინვალე ფურცელი. მილიციის ბევრი მუშაკი დაჯილდოებულია სამშობლოს მაღალი ჯილდოებით პარტიისა და ხალხისადმი თავდადებული სამსახურისათვის, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სიმტკიცისა და მამაცობის, გამბედაობისა და გამჭრიახობის გამოჩენისათვის. „ჩვენს მილიციაში, — თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა სრულიად საკავშირო ალკკ XIV ყრილობაზე, — ბევრია მართლაც გმირი ადამიანი, ჩვენი სახალხო მილიცია ასრულებს დიდ, საჭირო და ძალიან ძნელ სამუშაოს". ჩვენი მილიციის ყოველდღიური ცხოვრება აღსავსეა გულმოდგინე შრომით, წარსულის ისეთი საზიზღარი გადმონაშთების აღმოფხვრისათვის ბრძოლით, როგორიც არის დამნაშავეობა, ლოთობა, მუქთახორობა. მილიციის რიგებში არიან პარტიისა და კომკავშირის წარგზავნილები, მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის წარმომადგენლები, სპეციალისტები, რომლებსაც დამთავრებული აქვთ უმაღლესი სასწავლებლები, კვალიფიციური იურისტები. ბევრი ახალგაზრდა პატრიოტი გამოთქვამს სურვილს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოებში სამსახურს მოახმაროს თავისი სიცოცხლე.

ჩვენი საზოგადოების განვითარების თანამედროვე პირობებში კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნასთან და კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის ჩამოყალიბებასთან ერთად პირველ ადგილზეა მშრომელთა კომუნისტური აღზრდის, მათ შეგნებაში წარსულის გადმონაშთების დაძლევის, დანაშაულებრივ და სხვა ანტისაზოგადოებრივ მოვლენათა აღმოფხვრის ამოცანები. კომუნიზმის მშენებელ საზოგადოებაში არ უნდა ხდებოდეს სამართლის დარღვევა და დამნაშავეობა. საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ XXII ყრილობის გადაწყვეტილებებში, თავის დიად პროგრამაში დასახა ამოცანა უზრუნველვყოთ სოციალისტური კანონიერების მტკიცედ დაცვა, დამნაშავეობის ლიკვიდაცია, დამნაშავეობის წარმომშობი ყველა მიზეზის აღმოფხვრა.

ამ ამოცანის გადაწყვეტაში საბჭოთა სახელმწიფოს სხვა ორგანოებთან და მშრომელთა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად დიდმნიშვნელოვანი ადგილი ეკუთვნის საბჭოთა მილიციას. მილიციის მუშაკები ბევრ ენერგიასა და შრომას ხარჯავენ, რათა პირნათლად შეასრულონ მათთვის დაკისრებული მოვალეობანი, მაგრამ მათს მუშაობაში, ბევრი ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოს მხრივ მილიციის ორგანოების ხელმძღვანელობაში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებანი გვაქვს.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობენ ორგანოებს, რომლებიც იბრძვიან დანაშაულებრივ გამოვლინებათა წინააღმდეგ, ეხმარებიან მათ, მაგრამ მკაცრადაც სთხოვენ პასუხს. ამას წინათ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განიხილეს საბჭოთა მილიციის საქმიანობის გაუმჯობესების ღონისძიებათა საკითხი. ამ ღონისძიებებმა უნდა უზრუნველყონ სამართლის დარღვევისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის შემდგომი გაძლიერება.

ახლა დამტკიცებულია ახალი დებულება საბჭოთა მილიციის შესახებ. დებულებაში აღბეჭდილია და უფრო განვითარებულია მილიციის ორგანიზაციის დემოკრატიული პრინციპები, განსაზღვრულია მისი ამოცანები, უფლებები და მოვალეობანი. მილიცია მოწოდებულია დაიცვას საზოგადოებრივი წესრიგი ქალაქებში, დასახლებულ პუნქტებში და სატრანსპორტო მაგისტრალებზე, უზრუნველყოს სოციალისტური საკუთრების, მოქალაქეთა პიროვნებისა და უფლებების დაცვა დანაშაულებრივი ხელყოფისაგან, დროზე აიცილოს თავიდან, აღკვეთოს და გამოავლინოს სისხლის სამართლის დანაშაულობანი. მილიციის ძირითადი ღონისძიებანი უნდა მოხმარდეს ამ ამოცანის გადაწყვეტას.

იმის გამო, რომ მოკავშირე რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სამინისტროების ძირითადი ფუნქციებია საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფა, დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლა და თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მყოფ პირთა აღზრდა, მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებმა ეს სამინისტროები გარდაქმნეს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროებად. ამრიგად, სამინისტროების სახელწოდება ახლა შეესაბამება იმ ფუნქციებს, რომლებსაც ისინი ასრულებენ. ამ გარდაქმნამ აგრეთვე ხელი უნდა შეუწყოს იმას, რომ გაუმჯობესდეს სამინისტროების ყველა სამსახურის ურთიერთმოქმედება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება ზუსტად განსაზღვრავს იმის გზებს, რომ მილიციის ყველა აპარატისა და ქვეგანაყოფის საქმიანობა უმჯობესდებოდეს სოციალისტური კანონიერების უმკაცრესად დაცვის, კრიმინალისტიკის უახლეს მიღწევათა გამოყენების, მილიციის მთელ მუშაობაში ოსტატობისა და კულტურის ამაღლების, მოწინავე გამოცდილების გავრცელებისა და საზოგადოებრიობასთან მილიციის მჭიდრო კავშირის საფუძველზე.

მიღებულია ზომები მილიციის მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, იმისათვის, რომ უფრო სრულად დაკმაყოფილდეს მილიციის მოთხოვნილება ტრანსპორტზე, კავშირგაბმულობის საშუალებებსა და უახლესი ნიმუშების სხვა ტექნიკაზე. ამ ღონისძიებათა რეალიზაცია გაადიდებს მილიციის მობილურობასა და ოპერატიულობას, შექმნის იმის პირობას, რომ გაძლიერდეს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და უფრო წარმატებით იყოს ბრძოლა დამნაშავეობასთან.

უკანასკნელ დრომდე ჩვენი პრესა საკმარისად არ აშუქებდა მილიციის მუშაობას, ნაკლებად მოგვითხრობდა მის შესანიშნავ ადამიანებზე. უფრო მეტიც, მილიციის საქმიანობა ლიტერატურისა და ხელოვნების ზოგიერთ ნაწარმოებში ხშირად დამახინჯებულად იყო ნაჩვენები. ეს ზიანს აყენებდა მილიციის როგორც სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ორგანოს ავტორიტეტს. ახლა ეს ნაკლი ისპობა. პრესა უფრო ხშირად აქვეყნებს მასალებს საბჭოთა მილიციის შესახებ, დასახულია ახალი დოკუმენტალური და მხატვრული ფილმების გამოშვება, აგრეთვე კონკურსის მოწყობა საუკეთესო მხატვრულ ნაწარმოებზე მილიციის ცხოვრების შესახებ. საბჭოთა ადამიანების პატივისცემა, სიყვარულით აღსავსე დამოკიდებულება სახალხო მილიციისადმი შესანიშნავად გამოხატა ნიჭიერმა პოეტმა ვლადიმერ მაიაკოვსკიმ:

ჩემი მილიცია
მე მიცავს!

სახალხო მილიციის შრომა საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად პასუხსაგები და კეთილშობილური შრომაა.

საბჭოთა მილიცია მისთვის დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად აღჭურვილია საჭირო უფლებებით. მილიციის მუშაკთა და სახალხორაზმელთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და ღირსებას საიმედოდ იცავს კანონი დანაშაულებრივი ელემენტების მიერ ხელყოფისაგან. ძალიან საჭიროა, რომ მილიციის მუშაკებმა გონივრულად გამოიყენონ მათთვის მინიჭებული უფლებები, გამოიყენონ მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოებრივი წესრიგის შემდგომი განმტკიცების ინტერესებისათვის. მილიციაში არ შეიძლება მოხდეს ხელისუფლების რაიმე ბოროტად გამოყენება, უხეშობა და უღირსი საქციელი, საბჭოთა ადამიანების უფლებათა და ინტერესთა უკანონო შელახვა. უწინარეს ყოვლისა თვითონ მილიციის მუშაკებზეა დამოკიდებული, რომ მათ მიმართ არ იყოს საჩივარი და საყვედური. მილიციის ავტორიტეტის ამაღლებას და მის მუშაკთა შორის დისციპლინის განმტკიცებას, უეჭველია, შეუწყობს ხელს წითელი დროშების დაარსება მილიციის გარნიზონებისათვის და ის, რომ მილიციის მთელი პირადი შემადგენლობა საზეიმო ვითარებაში დადებს ფიცს, რომ ერთგულად შეასრულებს თავის მოვალეობას.

მილიცია მთელი თავისი საქმიანობით ხალხს ემსახურება, მისი ძალა მასებთან კავშირია. მილიციის ორგანოები დაუღალავად უნდა აფართოებდნენ და განამტკიცებდნენ კავშირს საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, ეყრდნობოდნენ მათს დახმარებას, უფრო ფართოდ იყენებდნენ ანტისაზოგადოებრივი ქცევის წინააღმდეგ ბრძოლაში მშრომელთა კოლექტივების, ამხანაგური სასამართლოებისა და მცირეწლოვანების საქმეთა კომისიების ავტორიტეტს და გავლენას.

ახლა ჩვენს ქვეყანაში ფართოდ განვითარდა ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების საქმიანობა. ისინი მილიციასთან, პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოებთან ერთად ასრულებენ დანაშაულებრივ გამოვლინებათა თავიდან აცილებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ფუნქციებს. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, მშრომელთა თვითმოქმედი ორგანიზაციებისა და მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის მჭიდრო ურთიერთმოქმედება დანაშაულებრივ გამოვლინებათა აღმოფხვრისათვის წარმატებითი ბრძოლის აუცილებელი პირობაა.

მთელი ჩვენი პარტიისა და ხალხის ამოცანაა ბოლო მოუღონ ისეთ სამარცხვინო მოვლენას, როგორიც არის დამნაშავეობა. ეს ამოცანა შეიძლება გადაიჭრას, თუ მილიციის, პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოებთან ერთად დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში კიდევ უფრო აქტიურად ჩაებმებიან ყველა პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მუშათა, კოლმეურნეთა, მოსამსახურეთა და მოსწავლეთა კოლექტივები. დამნაშავეობასთან და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევასთან ბრძოლის ორგანიზაცია პარტიული ორგანოების ყოველდღიური ზრუნვის საგანი უნდა იყოს და იგი ამ ორგანოებს დიდ და მნიშვნელოვან პოლიტიკურ ამოცანად უნდა მიაჩნდეთ. პარტიულმა ორგანოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ მილიციის პირადი შემადგენლობის იდეურ-პოლიტიკურ აღზრდას, მისი საქმიანობისადმი კონტროლის გაძლიერებას, მილიციის შემდგომ განმტკიცებას კადრებით.

ჩვენი მილიცია მშრომელთა მებრძოლი რაზმია, რომელიც დგას დანაშაულებრივ გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლის წინა ხაზზე. საბჭოთა ხალხი დიდ პატივს სცემს მას. საბჭოთა ხალხი დიდად აფასებს მილიციის მუშაკთა შრომას, თავის ერთგულ მეგობრებად და დამცველებად მიაჩნია ისინი. მილიციისა და მოსახლეობის მეგობრობა და ურთიერთგაგება ჩვენში ჩამოყალიბდა და განმტკიცდა მათი ინტერესებისა და ამოცანების ერთობის საფუძველზე.

პარტიის, მთავრობისა და ხალხის ზრუნვის პასუხად მილიციის მუშაკები ძალღონეს არ დაზოგავენ, რათა წარმატებით შეასრულონ მათ წინაშე დასახული ამოცანები. ისინი ღირსეულად გაამართლებენ გაწეულ ნდობას, კიდევ უფრო დიდი სიმტკიცითა და ენერგიით გასწევენ თავიანთ საპატიო სამსახურს, შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას საბჭოთა ხალხისა და ჩვენი სამშობლოს წინაშე.

საოქტომბრო საჩუქრები

წლიური გეგმა განაღდებულია

მხოლოდ ორი წელია, რაც პროდუქციას იძლევა ცხინვალის მომინანქრებული სადენების ქარხანა. მაგრამ მისი პროდუქცია უკვე კარგად არის ცნობილი ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც. ქარხნის კოლექტივმა ამ დღეებში დიდი შრომითი გამარჯვება მოიპოვა — წლიური გეგმა გაანაღდა და ვალდებულება იკისრა წლის ბოლომდე დამატებით 100 ტონა მომინანქრებული სადენი გამოუშვას.

საამქროებში ახლახან დაიწყეს ალუმინის გამოყენება სპილენძის ნაცვლად სადენების მოსამინანქრებლად. ამით საგრძნობლად შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება.

მოწინავე ტექნოლოგიური პროცესების დანერგვის შედეგად ნარჩენი ამჟამად 5-6 კილოგრამს არ აღემატება, წინათ კი 120-150 კილოგრამამდე აღწევდა.

ქარხნის საუკეთესო მუშებად ითვლებიან სულიკო ფლიევი, ხეთაგ გოგოზოვი, ზინაურ ნარფიკოევი და სხვები.

ა. ფილიევა,
საამქროს უფროსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დალი ანანიაშვილმა საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მოსამზადებელ საამქროში და მალე დაეუფლა მფთილავის პროფესიას. დადგა რა წინასაოქტომბრო შრომითს ვახტზე დ. ანანიაშვილმა აიღო ვალდებულება წლიური გეგმა 20 დღით ადრე დაამთავროს და გამოუშვას გეგმის ზევით 600 კილოგრამი ნართი.

სურათზე: დ. ანანიაშვილი.

ფოტო გ. კიკვაძისა, (საქდესის ფოტოქრონიკა).

700 ტონა თაბაშირი

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 45-ე წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში თვალსაჩინო წარმატებებს აღწევს ახალციხის თაბაშირის ქარხნის კოლექტივი.

ახალციხელმა თაბაშირის მომპოვებლებმა 18 სექტემბრისათვის შეასრულეს სამშენებლო თაბაშირის გამოშვების 9 თვის დავალება და გეგმის გადამეტებით მისცეს სამშობლოს 700 ტონა თაბაშირი, საგრძნობლად გაზარდეს შრომის ნაყოფიერება, შეამცირეს პროდუქციის თვითღირებულება.

საოქტომბრო შრომითს ვახტზე დგანან და ყოველდღიურ დავალებებს 110-115 პროცენტით ასრულებენ ცვლები, რომლებსაც შ. შაბერიძე და ა. არაქელიანი ხელმძღვანელობენ.

მზად არიან სეზონისათვის

შემოდგომის თბილ მზეზე ლალისფრად და ქარვისფრად ბრწყინავს კოლმეურნეთა ზვრებში დამწიფებული ყურძენი. წელს ონის რაიონში მოსავალს შარშანდელთან შედარებით უკეთესი პირი უჩანს. მალე დაიწყება რთველი. ყურძნით დატვირთული ავტომანქანები გაეშურებიან ონის ღვინის ქარხანაში.

ქარხანა მომზადებული ხვდება რთველს: გაირეცხა სამასამდე კასრი, დამუშავებულია სადუღარი როფები, და რკინაბეტონის რეზერვუარები. ამჟამად წარმატებით მიმდინარეობს ქარხნის გაფართოების სამუშაოები. შენდება და მალე მწყობრში ჩადგება ჭაჭის სახდელი საამქრო და ორთქლის საქვაბე დანადგარი. სრულ მზადყოფნაშია დიდი სასწორი, აგრეთვე წესრიგშია მოყვანილი ლაბორატორია, რომელსაც ქიმიკოსი თამარ ჭელიძე ხელმძღვანელობს.

ონის ღვინის ქარხანა ყურძნის მიღებას 5 ოქტომბრიდან დაიწყებს. წელს გათვალისწინებულია ქარხანამ მიიღოს და გადაამუშაოს 700 ტონა მაღალხარისხოვანი ყურძენი, რაც 300 ტონით მეტი იქნება შარშანდელთან შედარებით.

დ. ხახიაშვილი.

თესვა გაჩაღდა

ვთესოთ აგროწესების დაცვით

რესპუბლიკის აღმოსავლეთი რაიონების მინდვრებში მთელი ძალით გაჩაღდა საშემოდგომო თესვა. 25 სექტემბრისათვის დათესილი იყო 30.749 ჰექტარი, 8.734 ჰექტარით მეტი, ვიდრე შარშან ამავე პერიოდისათვის. მარტო გასულ ხუთ დღეში 8.424 ჰექტარი დაითესა. სიღნაღის საწარმოო სამმართველოში დათესილია 5.712 ჰექტარი, საგარეუბნო საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზებულ ტრესტში — 4.958 ჰექტარი, გორის საწარმოო სამმართველოში — 4.367 ჰექტარი, გურჯაანის საწარმოო სამმართველოში — 3.187 ჰექტარი, ბოლნისის საწარმოო სამმართველოში — 2.397 ჰექტარი, ახალციხის საწარმოო სამმართველოში — 2.925 ჰექტარი.

წელს რესპუბლიკაში საშემოდგომოდ 190.002 ჰექტარი უნდა დაითესოს. თესვის წლიური დავალება 16,2 პროცენტით არის შესრულებული. ახლა მთავარია არ შევანელოთ თესვის ტემპი, ვთესოთ მაღალხარისხოვნად და საუკეთესო თესლით.

მხვნელ-მთესველებო, გახსოვდეთ — უხვ მოსავალს სწორედ ახლა ეყრება საფუძველი, არ დაუშვათ თესვის აგროწესების დარღვევა.

ჩაის ფოთლის დამზადება

25 სექტემბრის ცნობებით

ჩვენი რესპუბლიკის მეჩაიეობის რაიონებში კვლავ თბილი, მზიანი ამინდებია. ამ სეზონში უკანასკნელი ნორჩი დუყები იკრიფება. 25 სექტემბრისათვის რესპუბლიკაში სულ მოკრეფილი იყო 166.813 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 155.000 ტონისა და ვალდებულებით ნაკისრი 160.000 ტონისა.

სექტემბერში გეგმით გათვალისწინებული 10.788 ტონის ნაცვლად 25 სექტემბრისათვის მოკრეფილია 11.927 ტონა „მწვანე ოქრო". მახარაძის საწარმოო სამმართველოში ამავე პერიოდისათვის ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა შესრულებული იყო 109,4 პროცენტით, ქობულეთის — 110,9, ზუგდიდის — 106,4, ცხაკაიას — 106,2, წყალტუბოს — 120,7, სამტრედიის — 108,8, ზესტაფონის — 124,8, სოხუმის — 101,2, გუდაუთის — 75,3, ხოლო შუახევის სამმართველოში — 125,6 პროცენტით.

როგორ მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები?

ჩვენი მიმოხილვა

შემოდგომაზე ყველა სამუშაო საჩქაროა. ახლა სოფელში უქმად ჯდომა მართლაც რომ დანაშაულია. ქუდზე კაცი უნდა იყოს გასული სიმინდის, ბოსტნეულის, თამბაქოს, ეთერზეთოვანი კულტურების ასაღებად, პირუტყვის საკვების მოსამარაგებლად, სახნავ-სათესად.

წელს რესპუბლიკაში „მინდვრის დედოფალს" 277.576 ჰექტარი უჭირავს. 25 სექტემბრისათვის აღებულია 110.430 ჰექტარი, ანუ წლიური გეგმის 39,8 პროცენტი. ამ მეტად სასარგებლო კულტურას დიდი ფართობები უჭირავს გორის, სიღნაღის, ცხაკაიას, ზესტაფონის, სამტრედიის, ზუგდიდის, წყალტუბოს, მახარაძის, თელავის საწარმოო სამმართველოებში, აფხაზეთის ასსრ და საგარეუბნო საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზებულ ტრესტში.

სიმინდის აღებაში დაწინაურდნენ **სიღნაღის, თელავის, გურჯაანის, თეთრი წყაროს, გორის, ბოლნისის** საწარმოო სამმართველოები, **სამხრეთ ოსეთის** ავტონომიური ოლქი და **საგარეუბნო** საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზებული ტრესტი.

ეს სამუშაო ჯერჯერობით ნელი ტემპით მიმდინარეობს **სოხუმის, გუდაუთისა** და **ქობულეთის** საწარმოო სამართველოებში. **სოხუმის** საწარმოო სამმართველოში სამარცვლე სიმინდი 12.585 ჰექტარიდან მხოლოდ 70 ჰექტარია აღებული, **გუდაუთის** საწარმოო სამმართველოში 4.008 ჰექტარიდან — 35 ჰექტარი, **ქობულეთის** საწარმოო სამმართველოში 1.310 ჰექტარიდან — 36 ჰექტარი. როგორც ვხედავთ, ამ სამმართველოების ხელმძღვანელები არ ჩქარობენ. მათ ავიწყდებათ, რომ შემოდგომაზე ყოველთვის მოსალოდნელია ხანგრძლივი წვიმები და სიმინდის მოსავლის აღება გაუჭირდებათ. კარგ ამინდებს უნდა დავეშუროთ!

თამბაქოს ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. თამბაქოს პლანტაციების დიდი ფართობებია სიღნაღის, ბოლნისის, სოხუმის, გუდაუთის, ქობულეთის, შუახევის საწარმოო სამმართველოებსა და საგარეუბნო საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზებულ ტრესტში. წელს რესპუბლიკაში გეგმით 156.600 ათასი ზონარმეტრი თამბაქო უნდა შეტეხონ. 25 სექტემბრისათვის შეტეხილია 71.452 ათასი ზონარმეტრი. წინ მიდიან **სიღნაღისა და ბოლნისის** საწარმოო სამმართველოები, **აჭარის** ასსრ და საგარეუბნო საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზებული ტრესტი.

კარტოფილი წელს რესპუბლიკაში ასაღებია 12.637 ჰექტარი. აღებულია 2.266 ჰექტარი. **შარშანდელთან შედარებით ეს სამუშაო რესპუბლიკაში ჩამორჩა,** კარტოფილის აღების გეგმა მხოლოდ გუდაუთის საწარმოო სამმართველომ შეასრულა. მეკარტოფილეობით განთქმული **ბოლნისის, თეთრი წყაროს, ახალციხის** საწარმოო სამმართველოები **რატომღაც არ ჩქარობენ.**

პირუტყვისათვის უხეში საკვების დამზადება კვლავ არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. რესპუბლიკაში გეგმით ნავარაუდევი 1.326. 089 ტონის ნაცვლად 20 სექტემბრისათვის დაგროვებულია 491.706 ტონა უხეში საკვები. ამ საქმეში ჩამორჩნენ **სამტრედიის, წყალტუბოს, ცხაკაიას, ზესტაფონის, მახარაძის, ზუგდიდის** საწარმოო სამმართველოები და აფხაზეთის ასსრ.

აი როგორ მიმდინარეობს სილოსის დამზადება (ტონობით)

სამმართველოები, ავტ. რესპ. ოლქი	გეგმა	შესრულება	შესრულების პროცენტი
თელავის	123.932	70.484	56,9
გურჯაანის	89.700	37.019	41,3
სიღნაღის	203.442	65.644	32,3
ბოლნისის	62,400	21.266	34,1
საგარეუბნო საბჭ. მეურნ. სპეც. ტრესტი	197.720	81.289	41,1
თეთრი წყაროს	64,940	25.591	39,4
დუშეთის	60.085	10.573	17,6
გორის	142.193	36.860	25,9
ახალციხის	112.557	61.531	54,7
ზესტაფონის	62,875	41.509	66.0
სამტრედიის	41.875	13.256	31,7
ამბროლაურის	30.860	14.604	47,3
წყალტუბოს	54.080	27.294	50,5
მახარაძის	67,462	34.503	51,1
ცხაკაიას	41.710	20.440	49,0
ზუგდიდის	67.299	29.073	43,2
აფხაზ. ასსრ	62.437	10.045	10,1
აჭარის ასსრ	45,000	11.855	26,3
სამხრეთ ოსეთის ა. ო.	69.322	21.548	31,1
სულ საქართველოს სსრ-ში	1.599.889	634,384	39,7

მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, რომ სილოსის ჩადება რესპუბლიკაში არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. გასული წლის შესაბამის პერიოდს თუ შევადარებთ, აღმოჩნდება, რომ შარშან ეს საქმე უფრო კარგად მიდიოდა.

სიტყვის ხალხი

წალენჯიხა. (ტელეგრაფით). დიდი ოქტომბრის დღესასწაულის მზადების დღეებში წალენჯიხელმა მეაბრეშუმეებმა წარმატებები მოიპოვეს. მათ სახელმწიფოსათვის აბრეშუმის პარკის მიყიდვის წლიური გეგმა 25 სექტემბრისათვის 100,3 პროცენტით შეასრულეს. სახელმწიფოს მიჰყიდეს ათას სამი ცენტნერი პარკი.

სახელმწიფოსათვის აბრეშუმის პარკის მიყიდვა გრძელდება.

გულითადი შეხვედრები

ლ. ი. ბრეჟნევი იუგოსლავიაში

სპლიტი, 27 სექტემბერი. (საქდესი). დღეს ხორვატიის სახალხო რესპუბლიკის აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარემ ზვონკო ბრკიჩმა საუზმე გამართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის პატივსაცემად.

ხორვატი ხალხისა და ხორვატიის მთავრობის სახელით ლ. ი. ბრეჟნევს გულითადად მიესალმა ზ. ბრკიჩი.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ლ. ი. ბრეჟნევმა.

საღამოს ლ. ი. ბრეჟნევმა და მისმა თანმხლებმა პირებმა დაათვალიერეს „ჰიდროელექტროსადგური სპლიტი". ჰესის დათვალიერების შემდეგ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ შემდეგი ჩანაწერი დატოვა საპატიო სტუმრების წიგნში: „სადგურის გაცნობამ დიდი სიამოვნება მოგვგვარა. ეს ნაგებობა ცხადყოფს საინჟინრო აზრის დიდ ტექნიკურ პროგრესს. სადგურის მთელ კოლექტივს ვუსურვებთ ბედნიერებას ცხოვრებაში და დიდ წარმატებებს შრომაში. დაე თქვენი სადგურის ნათურები მუდამ უნათებდნენ მშვიდობიან მიზნებს".

სპლიტი, 27 სექტემბერი. საქდესის კორესპონდენტი ი. ხარიტონოვი იუწყება:

სპლიტი იუგოსლავიის ძველი სანავსადგურო ქალაქია ადრიატიკაზე. ომისშემდგომ წლებში იგი გემთმშენებლობის დიდმნიშვნელოვანი ცენტრი გახდა. ამას წინათ ქალაქის მახლობლად მწყობრში ჩადგა იუგოსლავიის ყველაზე მძლავრი ჰიდროელექტროსადგური.

სადღესასწაულო ელფერი აქვს დღეს სპლიტის ქუჩებს. მოჩანს სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ალმები, ტრანსპარანტები, რომლებიც მოუწოდებენ იუგოსლავია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის განმტკიცებისათვის. სპლიტი გულთბილად ხვდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს.

განსაკუთრებით გულთბილად შეხვდნენ ლ. ი. ბრეჟნევს სპლიტის გემთსაშენის მუშები.

ლ. ი. ბრეჟნევი გულითადად მიესალმა მუშებს, გაეცნო მათ ცხოვრებას, მუშაობას, აღნიშნა, რომ საჭიროა საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მეგობრობის შემდგომი განმტკიცება ორივე ქვეყნის ინტერესებისათვის, მშვიდობისა და სოციალიზმისათვის. მუშები ამ სიტყვებს ერთსულოვანი ტაშით შეხვდნენ.

თითქმის მთელი მუშათა კოლექტივი შეიკრიბა მიტინგზე, რომელიც ლ. ი. ბრეჟნევის ჩამოსვლის გამო მოეწყო. ტრიბუნაზე არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი და საბჭოთა კავშირის სხვა წარმოგზავნილნი, საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარის მოადგილე ა. რანკოვიჩი და სხვა იუგოსლავი მოღვაწეები.

მიტინგზე გამოვიდა ლ. ი. ბრეჟნევი, რომელსაც მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

მან მადლობა უძღვნა სტუმართმოყვარეობისათვის, სპლიტის მშრომელებსა და მზიური დალმაციის ყველა მცხოვრებს მხურვალე სალამი გადასცა საბჭოთა კავშირის ხალხებისაგან, უსურვა მათ ჯანმრთელობა, ბედნიერება და დიდი წარმატებები შრომაში, ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ხალხთა მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განვითარება სარგებლობას მოუტანს არა მარტო ამ ორ ხალხს, არამედ აგრეთვე სოციალიზმის მშენებელ ყველა ხალხს.

ლ. ი. ბრეჟნევმა ილაპარაკა საბჭოთა ხალხის წარმატებებზე, რომელიც ასრულებს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის გრანდიოზულ ამოცანას. საბჭოთა ქვეყანამ, თქვა მან, თითქოს გიგანტური კოსმოსური ხომალდია, წარმატებით აიღო სტარტი და ახლა მტკიცედ გადის კომუნიზმის ორბიტაზე.

ლ. ი. ბრეჟნევმა მოაგონა დამსწრეთ საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის უდიდესი ტრიუმფი კოსმოსის დაპყრობაში და განაგრძო: დასავლეთში ბევრს აინტერესებს, რა საწვავით მუშაობენ საბჭოთა რაკეტები. მათ წარმოუდგენიათ, რომ ეს არის მთავარი საიდუმლოება ჩვენი წარმატებებისა კოსმოსის ათვისებაში. მაგრამ საქმე, რა თქმა უნდა, მარტო საწვავი როდია, თუმცა ამასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. კოსმოსში და დედამიწაზე საბჭოთა მეცნიერების ტრიუმფულ წარმატებათა, ისე როგორც ჩვენი ხალხის ყველა სხვა წარმატების საიდუმლოებაა ის უდიდესი შესაძლებლობანი, რომლებსაც ადამიანებს უსახავს ახალი საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვება.

ცნობისმოყვარეთ, რომლებსაც აინტერესებთ, რა საწვავით მუშაობენ საბჭოთა რაკეტები, შემიძლია ვუპასუხო: მარქსისტულ-ლენინურით! აი, ამხანაგებო, ჩვენი ნაცადი საწვავი, რომელსაც კომუნიზმისაკენ მიჰყავს ჩვენი სოციალისტური ხომალდი. საბჭოთა კავშირის წარმატებანი მთელი ძალით ადასტურებენ, რომ სწორია გზა, რომლითაც მივდივართ ჩვენი დიადი მიზნისაკენ.

შემდეგ ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი უდიდეს ზრუნვას იჩენს დედამიწაზე მშვიდობის განმტკიცებისათვის, დაუცხრომლად იბრძვის იმისათვის, რომ საერთაშორისო ურთიერთობის მომწიფებული პრობლემები მშვიდობიანი გზით გადაიჭრას. მაგრამ, სამწუხაროდ, არიან მსოფლიოში აგრესიული ძალები, რომლებსაც ამერიკის იმპერიალიზმი მეთაურობს და რომლებიც ამწვავებენ საერთაშორისო ვითარებას, ეწევიან თავშეუკავებელ გამალებულ შეიარაღებას, ცდილობენ გააჩაღონ მსოფლიო რაკეტულ-ატომური ომის ხანძარი.

აღშფოთებასა და გულისწყრომას იწვევს ხალხებში, განაგრძო მან, ამერიკის იმპერიალიზმის მუქარა და პროვოკაციები გმირი კუბელი ხალხის წინააღმდეგ.

როგორც ცნობილია, საბჭოთა მთავრობამ ამასწინათ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ყურადღება მიაქცია იმას, რომ ახლა არ შეიძლება თავს დაესხან კუბას და იმედი იქონიონ, რომ ეს თავდასხმა დაუსჯელად ჩაუვლის აგრესორს. ასეთი თავდასხმა თუ მოხდა, ეს იქნება ომის დაწყება.

საბჭოთა კავშირი, სოციალიზმის ქვეყნების დიადი თანამეგობრობა, ხაზგასმით აღნიშნა ლ. ი. ბრეჟნევმა, დღეს ისე, ძლიერი არიან, როგორც არასოდეს ყოფილან, ეს მთელმა მსოფლიომ იცის, მაგრამ ჩვენ არ გვსურს ომი და სადავო საერთაშორისო პრობლემების გადაჭრის საშუალებად მიგვაჩნია არა ომი, არამედ გონივრული რეალისტური მოლაპარაკება.

ჩვენი ქვეყნის თანამიმდევრული ბრძოლა გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადებისათვის, რომელმაც უნდა აღმოფხვრას მეორე მსოფლიო ომის ნაშთები და შექმნას საფუძველი დასავლეთ ბერლინის პრობლემის გადაჭრისათვის, დამაჯერებლად მოწმობს მომწიფებული პრობლემების გადაჭრისადმი ასეთ მიდგომას.

იმპერიალიზმის ვერავითარი ცდა ვერ შეაჩერებს ისტორიის წინსვლას, თქვა ლ. ი. ბრეჟნევმა. არასოდეს არ ყოფილა დედამიწაზე ისეთი მძლავრი და მჭიდრო დარაზმული ძალები, რომლებსაც შესწევთ უნარი ალაგმონ ომისა და რეაქციის მომხრენი, როგორიც ჩვენს დროშია. ეს ძალები დღითი დღე იზრდებიან და მტკიცდებიან.

დასასრულ ლ. ი. ბრეჟნევმა შეკრებილთა ტაშის გრიალში დღეგრძელობა უსურვა საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ხალხთა მეგობრობას, მთელი მსოფლიოს მშვიდობას, სოციალიზმსა და კომუნიზმს.

შემდეგ გამოვიდა იუგოსლავიის მშრომელი ხალხის სოციალისტური კავშირის სპლიტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე ი. ფრანიჩევიჩი. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ იუგოსლავია-საბჭოთა კავშირის მეგობრობა გამოიწრთო საერთო ბრძოლაში ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ. იუგოსლავი ხალხი, თქვა მან, გულწრფელი სიხარულის გრძნობას განიცდის ყოველთვის როცა შეიტყობს, რომ საბჭოთა ადამიანებმა ახალი დიდი წარმატებები მოიპოვეს ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის ყველა დარგში. ორატორმა იმედი გამოთქვა, რომ ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტი იუგოსლავიაში ხელს შეუწყობს ორი ხალხის მეგობრული ურთიერთობის კიდევ უფრო განმტკიცებას.

სპლიტი, 28 სექტემბერი. (საქდესი). დღეს დილით სპლიტიდან გამგზავრნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი და მისი თანმხლები პირები. სასწავლო გემმა „გალებმა", რომელზეც ლ. ი. ბრეჟნევი იმყოფება და რომელსაც თან ახლავს იუგოსლავიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის საესკადრო ნაღმოსნები „სპლიტი" და „პულა", კურსი აიღო ადრიატიკის ჩრდილოეთით ბრიონის კუნძულების მიმართულებით.

მეგობრობა, თანამშრომლობა

ხელმოწერილია ხელშეკრულება საიმის არხის შესახებ

✦

1960 წლის ნოემბერში, როდესაც ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ურხო კეკონენი საბჭოთა კავშირში იმყოფებოდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის მოწვევით, ფინეთის მხარემ წინადადება წამოაყენა განეგრძოთ მოლაპარაკება, რომელიც წინათ წარმოებდა ფინეთის ინიციატივით იმის შესახებ, რომ მისცემოდა მას საიმის არხის საბჭოთა ნაწილის სარგებლობის უფლება. ამასთანავე ფინეთის მხარემ ითხოვა გადასცემოდა საიმის არხის საბჭოთა ნაწილი სარგებლობისათვის იჯარის საფუძველზე არხის რეკონსტრუქციის უფლებით. საბჭოთა მთავრობამ მხედველობაში მიიღო საბჭოთა კავშირისა და ფინეთის კეთილმეზობლური ურთიერთობა, რომელსაც საფუძვლად უდევს მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება, და დათანხმდა დაეკმაყოფილებინა ფინეთის თხოვნა.

ამის შემდეგ მოსკოვსა და ჰელსინკში საბჭოთა კავშირისა და ფინეთის მთავრობათა დელეგაციებს შორის გამართა მოლაპარაკება, რომელიც ნდობის, ურთიერთგაგების ატმოსფეროში მიმდინარეობდა და მეგობრული ხასიათისა იყო. მოლაპარაკების შედეგად ერთობლივად შეიმუშავეს ტექსტი „ხელშეკრულებისა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ფინეთის რესპუბლიკას შორის ფინეთის რესპუბლიკისათვის საიმის არხის საბჭოთა ნაწილისა და კუნძულ მალი ვისოცკის იჯარით გადაცემის შესახებ".

27 სექტემბერს მოსკოვში, კრემლის დიდ სასახლეში ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას.

გასული საუკუნის შუახანებში გაყვანილი საიმის არხი ევროპის ერთ-ერთ უდიდეს ტბას — საიმას აკავშირებს ფინეთის ყურესთან. არხი იწყება ქალაქ ლაპ ნრანტას მახლობლად, გადის ფინეთისა და საბჭოთა კავშირის მიწა-წყალზე და მთავრდება ქალაქ ვიბორგთან.

არხის სიგრძე, რომლის რეკონსტრუქცია რამდენჯერმე განხორციელდა, 56 კილომეტრია. აქედან თითქმის 40 კილომეტრი სსრ კავშირის ტერიტორიაზეა. საიმის არხი ყველაზე იაფი და მოკლე სანაოსნო გზაა აღმოსავლეთ ფინეთის დაშორებული რაიონებიდან, სადაც განვითარებულია ხე-ტყის მრეწველობა, ბალტიის ზღვის სანაპიროსაკენ.

სკკპ დელეგაცია იტალიაში

რომი, 27 სექტემბერი. (საქდესი). დღეს წევრები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციისა, რომელიც იტალიაში ჩამოვიდა იტალიის კომუნისტური პარტიის მოწვევით და რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, ეწვივნენ იტალიის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს. იტალიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის სახელით საბჭოთა კავშირიდან ჩამოსულ სტუმრებს მიესალმა იტალიის კომპარტიის გენერალური მდივანი ლუიჯი ლონგო.

უცხოეთის ცნობები

ინდონეზიელი სტუმრები

საკავშირო პროფსაბჭოსა და სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშათა და მოსამსახურეთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის მოწვევით საბჭოთა კავშირში სტუმრად არის ინდონეზიის გლეხთა კავშირის წევრების დელეგაცია. დელეგაციის შემადგენლობაში არიან: ინდონეზიის კონგრესისა და პარლამენტის წევრი ს. სარჯონო (ხელმძღვანელი), ინდონეზიის გლეხთა კავშირის პრეზიდიუმის წევრი და დასავლეთ იავის გლეხთა კავშირის კომიტეტის წევრი აფანდი, ცენტრალური ჩრდილოეთ სულავესის გლეხთა კავშირის კომიტეტის წევრი არნოლდ ტიჯო, აღმოსავლეთ ნუსა ტენგარის რაიონის გლეხთა კავშირის კომიტეტის წევრი სიმონ ბუბუ.

27 სექტემბერს დელეგაცია ტაშკენტიდან თბილისში ჩამოვიდა. (საქდესი).

გერმანე ტიტოვი მოსკოვს დაბრუნდა

მოსკოვი, 28 სექტემბერი. (საქდესი). დღეს იუგოსლავიასა და ბულგარეთში მოგზაურობიდან მოსკოვს დაბრუნდა კოსმონავტი მფრინავი გერმანე ტიტოვი. მან დაამთავრა მეგობრობის მეხუთე რეისი საზღვარგარეთის ქვეყნებში.

საზოგადოებრივი წესრიგის სადარაჯოზე

მაღალი ნდობა გვავალებს

დღეს, ჩვენი საზოგადოების განვითარების თანამედროვე პირობებში, პირველი რიგის ამოცანაა მშრომელთა კომუნისტური აღზრდა, მათ შეგნებაში წარსულის გადმონაშთების დაძლევა, დანაშაულებრივ და სხვა ანტისაზოგადოებრივ მოვლენათა აღმოფხვრა. კომუნიზმის მშენებელ საზოგადოებაში არ უნდა ხდებოდეს სამართლის დარღვევა და დამნაშავეობა.

ამ ამოცანის გადაწყვეტაში საბჭოთა სახელმწიფოს სხვა ორგანოებთან ერთად დიდია საბჭოთა მილიციის როლი. საბჭოთა მილიციას დაარსების 45 წელი უსრულდება. ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ბრძანებულებით დაწესდა „საბჭოთა მილიციის დღე“. ეს დღე ჩვენი, მილიციის მუშაკების, საზეიმო დღე იქნება.

ხალხის, პარტიისა და მთავრობის ასეთი ყურადღება მილიციის მუშაკებს გვავალებს მეტი პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ ჩვენს საქმეს, დაუღალავად ვიბრძოლოთ, რათა ბოლო მოვუღოთ ჩვენი საზოგადოებისათვის ისეთ სამარცხვინო მოვლენას, როგორიც არის დამნაშავეობა.

გ. არაბული,

ქუთაისის მილიციის საქალაქო განყოფილების ოპერრწმუნებული, უფროსი ლეიტენანტი.

სასიხარულო და საამაყო

ჩვენმა მთავრობამ დააწესა დღესასწაული — „საბჭოთა მილიციის დღე“, რომელიც ყოველწლიურად 10 ნოემბერს გაიმართება. ეს ბრძანებულება კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა საყოველთაო-სახალხო ყურადღებისა იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც მამაცურად დგანან საზოგადოებრივი წესრიგის სადარაჯოზე.

ორგანოს მუშაკების ყოველდღიური ცხოვრება აღსავსეა გმირული შრომით. მილიციის მუშაკები შეურიგებელნი ვართ წარსულის ისეთი საზიზღარი გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლაში, როგორიც არის დამნაშავეობა, ლოთობა, ხულიგნობა, მექრთამეობა. ჩვენ ერთგულად ვემსახურებით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებებს, რომლებშიც დასახულია სოციალისტური კანონიერების მტკიცედ დაცვა, დამნაშავეობის წარმომშობი ყველა მიზეზის აღმოფხვრა. მოწოდებული ვართ დავიცვათ საზოგადოებრივი წესრიგი, უზრუნველვყოთ მოქალაქეთა პიროვნებისა და უფლებების დაცვა დანაშაულებრივი ხელყოფისაგან, დროზე ავიცილოთ თავიდან, გამოვავლინოთ სისხლის სამართლის დამნაშავეები.

კომუნიზმის მშენებელმა საბჭოთა მოქალაქეებმა კარგად იციან მშობლიური მილიციის ის დიდი მოვალეობა, რომელიც მას აკისრია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის. თბილისის 26 კომისრის რაიონის მილიციის განყოფილება ერთ-ერთი მოწინავეა ქალაქში. წლევანდელი ექვსი თვის მაჩვენებლების მიხედვით პირველი ადგილი დავიკავეთ დანაშაულობათა გამოვლინების საქმეში. მომავალში ჩვენი განყოფილების მუშაკები კიდევ უფრო ფხიზლად, ენერგიულად იმუშავებენ, რათა მიუგნებელი არ დარჩეს არც ერთი დანაშაულის კვალი.

ჭეშმარიტად სასიხარულო და საამაყოა „საბჭოთა მილიციის დღის“ დაწესება. ეს ჩვენი ორგანოს მუშაკებს გაზრდილ მოთხოვნებს უყენებს.

ბ. მესხი,

26 კომისრის რაიონის მილიციის უფროსის მოადგილე.

მარად ხალხის სამსახურში

ხალხს უყვარს თავისი მილიცია და პატივს სცემს მას, რადგან კარგად ესმის მისი როლი საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ხალხმა იცის, რომ მილიცია დიდ, საჭირო და მეტად მძიმე სამუშაოს ასრულებს.

მილიციისადმი ხალხის საყოველთაო სიყვარულის და ყურადღების ნათელი გამოხატულებაა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ახლახან გამოქვეყნებული ბრძანებულება „საბჭოთა მილიციის დღის“ დაწესების შესახებ.

ხალხის, პარტიისა და მთავრობის ეს ყურადღება და პატივისცემა მილიციის ორგანოების ყველა მუშაკს მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს. ჩვენი ვალია არა მარტო გამოვავლინოთ და სათანადოდ დავსაჯოთ საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევნი, დამნაშავენი, არამედ ყველა ღონისძიება ვიხმაროთ, რათა მინიმუმამდე დავიყვანოთ, არ დავუშვათ დანაშაულის ჩადენის ფაქტები. მაშინ ხალხი უფრო მეტი სიყვარულითა და პატივისცემით წარმოთქვამს: „ჩემი მილიცია მე მიცავს“.

ვ. ოქროპირიძე,

გორის მილიციის საქალაქო განყოფილების მილიციელი.

ბენ ბელა ალჟირის პრემიერ-მინისტრია

ალჟირის ეროვნულ დამფუძნებელ კრებაში

ალჟირი, 27 სექტემბერი. (საკდესი). ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნულმა დამფუძნებელმა კრებამ ეროვნული განთავისუფლების ფრონტის ლიდერი აჰმედ ბენ ბელა დანიშნა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრად.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 189 დეპუტატმა 196-დან. 141 დეპუტატმა აჰმედ ბენ ბელას მისცა ხმა.

ბენ ბელამ ეროვნული დამფუძნებელი კრების დასამტკიცებლად უნდა წარადგინოს მთავრობის შემადგენლობა და მისი საქმიანობის პროგრამა.

ინგლისის გეგმის წინააღმდეგ

ლონდონი, 27 სექტემბერი (საკდესი). ადენის მთავრობამ ძლივძლივობით გაიყვანა გუშინ საკანონმდებლო საბჭოში გადაწყვეტილება, რომ ინგლისის ეს კოლონია შეუერთდეს „სამხრეთ არაბეთის ფედერაციას“, რომელიც ინგლისის იმპერიალიზმს სურს ფორპოსტად გიხადოს შუა აღმოსავლეთში. საკმარისია ითქვას, რომ საკანონმდებლო საბჭოს 12 არჩეული წევრიდან რვამ პროტესტის ნიშნად უარი თქვა მონაწილეობა მიეღო ამ გეგმისათვის კენჭისყრაში. მთავრობამ მხოლოდ ანტიდემოკრატიული სისტემის საშუალებით, რომლის შესაბამისადაც საბჭოს წევრთა ნაწილს ხელისუფლება ნიშნავს, შეძლო შეესრულებინა ლონდონის განკარგულება.

გაზეთი „ტაიმსი“ დღეს კომენტარს უძღვნის კამათის შედეგს და აღიარებს, რომ ადენელთა უმრავლესობა ფედერაციაში შესვლის წინააღმდეგია.

აჰმედ ბენ ბელა

(ცნობა)

ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი აჰმედ ბენ ბელა ალჟირის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის ერთ-ერთი თვალსაჩინო ხელმძღვანელი და ალჟირის რევოლუციის ეროვნული საბჭოს წევრია.

დაიბადა 1919 წლის დეკემბერში მეწვრილმანის ოჯახში ქალაქ მარნიაში ორანის დეპარტამენტში. საშუალო განათლება მიიღო ტლემსენში. მეორე მსოფლიო ომის დროს მსახურობდა საფრანგეთის არმიაში უნტერ-ოფიცრის ჩინით და მონაწილეობდა იტალიის კამპანიაში.

1946 წელს აჰმედ ბენ ბელა აირჩიეს ქალაქ მარნიას მუნიციპალური საბჭოს წევრად, 1947 წელს კი — ქალაქ მარნიას მერის მოადგილედ.

1948 წლიდან აჰმედ ბენ ბელა აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას ეწევა, რომელიც მიმართულია კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ ალჟირში. იგი იყო „ალჟირის სახალხო პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი და ხელმძღვანელობდა ნახევრად სამხედრო საიდუმლო ორგანიზაციას, რომელიც ფრანგ კოლონიზატორთა წინააღმდეგ იბრძოდა.

1950 წელს დააპატიმრეს საფრანგეთის ხელისუფლებმა, მაგრამ 1952 წელს გაიქცა ბლიდას საპყრობილედან და გაემგზავრა ალჟირიდან. საფრანგეთის სამხედრო ტრიბუნალმა დაუსწრებლად მიუსაჯა კატორღა.

იმყოფებოდა რა კაიროში და იყო „ერთიანობისა და მოქმედების რევოლუციური კომიტეტის“ წევრი, იგი შედიოდა „ცხრათა კომიტეტში“, რომელმაც დაიწყო რევოლუციური აჯანყება ალჟირში 1954 წლის 1 ნოემბერს.

აჰმედ ბენ ბელა იყო ეროვნული განთავისუფლების ფრონტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი და ამ ფრონტის სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარე, ვიდრე დააპატიმრებდნენ 1956 წლის 22 ოქტომბერს, როცა მაროკოს თვითმფრინავი, რომლითაც იგი სხვა ალჟირელ ხელმძღვანელებთან ერთად მიფრინავდა ტუნისში, საფრანგეთის ხელისუფლებმა დაიჭირეს ალჟირის ტერიტორიაზე. აჰმედ ბენ ბელა განთავისუფლებულ იქნა მხოლოდ მას შემდეგ, რაც 1962 წლის 19 მარტს ევიანში ხელმოწერილ იქნა საფრანგეთ-ალჟირის შეთანხმება, და მაშინვე გაემგზავრა საფრანგეთიდან.

1958 წელს, როცა შეიქმნა ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობა, აჰმედ ბენ ბელა, რომელიც დაპატიმრებული იყო საფრანგეთში, აირჩიეს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

თავის სხდომაზე ტრიპოლიში 1962 წლის ივნისში ალჟირის რევოლუციის ეროვნულმა საბჭომ მოიწონა აჰმედ ბენ ბელას წინადადება ეროვნული განთავისუფლების ფრონტის პოლიტიკური ბიუროს შექმნის შესახებ, რომელსაც უნდა გადასცემოდა მთავრობის ყველა ფუნქცია ეროვნული დამფუძნებელი კრების მოწვევამდე.

პოლიტბიუროს შედგენის დროს 1962 წელს, ალჟირის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, აჰმედ ბენ ბელა აირჩიეს პოლიტბიუროს წევრად ალჟირის დროებით აღმასრულებელ ორგანოსთან საშინაო პოლიტიკის კოორდინაციის საკითხებში.

შემდგომ აჰმედ ბენ ბელა ხელმძღვანელობდა ბრძოლას ეროვნული ძალების შეკავშირებისათვის ზოგიერთი გამთიშველი სამხედრო მეთაურის წინააღმდეგ და უდიდეს როლს ასრულებდა ეროვნული-დამფუძნებელი კრების არჩევნებისათვის პირობების შექმნის საქმეში.

1962 წლის 20 სექტემბერს აჰმედ ბენ ბელა აირჩიეს ეროვნული დამფუძნებელი კრების დეპუტატად.

26 სექტემბერს ეროვნულმა დამფუძნებელმა კრებამ დაავალა აჰმედ ბენ ბელას ალჟირის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი მთავრობის მეთაურობა და შედგენა.

ამერიკელთა მისია განწირულია ჩასაფუშად

დელი, 27 სექტემბერი. (საკდესი). პირტიტველი, აწოწილი ყმაწვილები, რომლებიც გასული წლის დასასრულს გამოჩნდნენ დელის ქუჩებში, გამვლელთა კითხვებზე, თითქოს შპარგალკით, ერთფეროვნად და მოკლედ პასუხობდნენ: „ამერიკის შეერთებული შტატების მშვიდობის კორპუსის მოხალისენი. ჩვენ გადმოვლახეთ ზღვები და ოკეანეები, რათა გავიზიაროთ ინდოელთა მწუხარება და სიხარული“.

მაგრამ ინდოელნი არ დააკმაყოფილა ოკეანის გაღმიდან მოსულთა ასეთმა რეკომენდაციამ. „რის გაკეთებას აპირებენ ეს მოხალისენი ინდოეთში? ვარაუდობენ, რომ ისინი იმუშავებენ სასოფლო-სამეურნეო, ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების ასპარეზზე. მაგრამ რა გაეგებათ შორეული ცივილიზებული შეერთებული შტატებიდან ჩამოსულ ამ ყმაწვილ „ვოლონტიერებს“ ინდოეთის სოფლის მეურნეობის პრობლემებისა? — სამართლიანად კითხულობდა ჟურნალი „ლინკი“ და იქვე მახვილგონიერად აღნიშნავდა, რომ თვით „მშვიდობის კორპუსის“ მეთაურმა სერჟანტ შრივერმაც კი ვერ შეძლო პირდაპირი პასუხის მიცემა.

შრივერის ნაცვლად ამ კითხვაზე უპასუხა ინდოეთის პრესამ. „კოლონიური კორპუსი“, „კოლონიალიზმის საიერიშო რაზმები“, „ღმერთო, გვიხსენი ასეთი მეგობრებისაგან“ — ამგვარი არასახარბიელო ეპითეტებით შეამკო „მშვიდობის კორპუსი“ გაზეთმა „ნიუ ეიჯმა“.

„უფრთხილდით“ მშვიდობის კორპუსს“, „კენედის ტროადის ცხენი ინდოეთში“, — აფრთხილებდა თავის მკითხველებს ბომბეის ცნობილი ჟურნალი „ბლიტცი“. „მშვიდობის კორპუსი“ ამერიკის შეერთებული შტატების უკანასკნელი შავბნელი მაქინაციაა აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის სუსტადგანვითარებულ ქვეყნებში და კენედის მთავრობის მიერ გათვალისწინებულია, როგორც ამერიკის მსოფლიო პოლიტიკის — „ახალი ჰორიზონტების“ დამატება, — წერდა „ბლიტცი“.

ფაქტები ადასტურებენ, აღნიშნავს თავის მხრივ „დელი ტაიმსი“, რომ მაღალფარდოვანი ლაპარაკი „მშვიდობის კორპუსის“ ქველმოქმედებასა და ჰუმანიურობაზე — თავიდან ბოლომდე ყალბია. პირველ რიგში საჭიროა ხაზი გაესვას იმ გარემოებას, განაგრძობს გაზეთი, რომ „მშვიდობის კორპუსი“ არის მთავრობის ორგანიზაცია, შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტისა და სადაზვერვო სამმართველოს ფილიალი. იმ ფერადოვანი ფრაზების მიღმა, რომლითაც ამკობენ „მშვიდობის კორპუსს“, აშკარად შეიძლება გაარჩიოთ ჯაშუში... აი რატომ გმობს აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის საზოგადოებრიობა „მშვიდობის კორპუსის“ მოხალისეებს, როგორც ნატოს ჯაშუშებს, ხაზს უსვამს დასასრულ „დელი ტაიმსი“.

ბროშურაში „ცივი ომის კორპუსი“ ინდოელი ჟურნალისტი აშოკა კუმარი აღწერს ახალგაზრდა ამერიკელების ჯგუფის ყოფნას პენჯაბის შტატში. კუმარს მოჰყავს საუბარი ერთ-ერთ „მოხალისესთან“, რომელმაც გულახდილად აღიარა, რომ მათი მოვალეობაა ხელი შეუწყონ ამერიკის საგარეო პოლიტიკის მიზნის მიღწევას.

„უცილობლად დამტკიცებულია, — განაგრძობს აშოკა კუმარი, — რომ ეს მოხალისენი კონტაქტს ამყარებენ ინდოეთის რეაქციულ ელემენტებთან და რომ „მშვიდობის კორპუსი“ სხვა არაფერია, თუ არა ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ფილიალი. ეს მოხალისენი განუწყვეტლივ არწმუნებენ, რომ ამერიკული ცხოვრების წესი უკეთესია და ინდოეთისათვის უფრო სასარგებლო იქნება დახმარების მიღება ამერიკის შეერთებული შტატებიდან. მაგრამ, სამართლიანად აღნიშნავს კუმარი, ამერიკელთა მისია განწირულია ჩასაფუშად.

საერთაშორისო ცხოვრება
დღევანდელი ცნობები მიმოხილვა

თავხედური დემონსტრაცია

ლონდონი, 27 სექტემბერი. (საკდესი). რასისტთა აღიარებულმა მეთაურმა აფრიკაში ჰენდრიკ ფერვურდმა კვლავ დაადასტურა, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთავრობის დისკრიმინაციული პოლიტიკა აფრიკის მკვიდრი მოსახლეობის მიმართ უცვლელი რჩება.

პრემიერ-მინისტრი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისა, სადაც აპარტეიდი ოფიციალურად გამოცხადებულია პოლიტიკის ძირითად პრინციპად, გამოვიდა ვინდჰუკში — ადმინისტრაციულ ცენტრში, სამხრეთ-დასავლეთ აფრიკისა, რომელიც ანექსირებულია სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მიერ. ეს ოკუპაცია, რომელიც 1949 წელს განხორციელდა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ გამოაცხადა უკანონო აქტად. მაგრამ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა სარგებლობს კოლონიური სახელმწიფოების ფარული მხარდაჭერით და დაჟინებით უგულებელყოფს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა გადაწყვეტილებას სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის სტატუსის საკითხზე.

როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ფერვურდმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი მთავრობა არასოდეს არ დათანხმდება სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის თვითგამორკვევაზე და რომ „თეთრკანიანთა და არათეთრკანიანთა“ ცალცალკე განვითარების პრინციპი, ე. ი. აპარტეიდი, სამხრეთ ამერიკის რესპუბლიკის საშინაო პოლიტიკის კვლავ მთავარი ელემენტია.

გ. ს. ტიტოვი ბულგარეთში

სოფია, 27 სექტემბერი (საკდესი). დღეს აქ ბულგარეთის დედაქალაქის ახალგაზრდობა შეხვდა საბჭოთა კოსმონავტ გერმანე ტიტოვს. 5 ათასზე მეტი სტუდენტი და მოსწავლე შეიკრიბა სადღესასწაულოდ მორთულ დარბაზ „უნივერსიადაში“.

დედაქალაქის ახალგაზრდობა მხურვალედ მიესალმა გერმანე ტიტოვს, რომელმაც თავისი მეგობარი კოსმონავტების გულითადი სალამი გადასცა ბულგარელ ახალგაზრდობას. გერმანე ტიტოვმა დაწვრილებით ილაპარაკა თავის ფრენაზე „აღმოსავლეთ-2“ კოსმოსური ხომალდით და პასუხი გასცა ბევრ კითხვაზე.

ძვირფას სტუმარს მიართვეს ყვავილები და ეროვნული სტილით მოქარგული პერანგი.

სოფია, 27 სექტემბერი (საკდესი). დღეს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ დიმიტრი განევმა საზეიმო ვითარებაში გადასცა საბჭოთა კოსმონავტ მფრინავ გერმანე ტიტოვს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სოციალისტური შრომის გმირის ოქროს მედალი და გიორგი დიმიტროვის ორდენი.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების პრეზიდიუმმა გამოსცა ბრძანებულება მიენიჭოს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სოციალისტური შრომის გმირის წოდება და გადაეცეს ოქროს ვარსკვლავი და გიორგი დიმიტროვის ორდენი გ. ს. ტიტოვს განსაკუთრებული გმირობისათვის კოსმოსის ათვისებაში.

გ. ს. ტიტოვმა გულითადი მადლობა გადაუხადა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას მაღალი ჯილდოსათვის. ეს ჯილდო, თქვა გერმანე ტიტოვმა, სიმბოლოა საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის ხალხთა მარადიული და ურღვევი ძმური მეგობრობისა.

სოფია, 28 სექტემბერი (საკდესი). გუშინ ბულგარეთში სტუმრად მყოფი საბჭოთა კოსმონავტი გერმანე ტიტოვი ეწვია ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის სახალხო კომიტეტს. კომიტეტის თავმჯდომარე ცოლა დრაგოიჩევა გულთბილად მიესალმა საბჭოთა კოსმონავტს. მან წაიკითხა გადაწყვეტილება, რომ გერმანე ტიტოვი მიღებულია ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის სახალხო კომიტეტის საპატიო წევრად და გადასცა მას კომიტეტის ოქროს ნიშანი.

ტელეგრაფი გვატყობინებს

☐ **ასოშიეიტედ** პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ათენიდან იუწყება, წყალდიდობის შედეგად, რაც გამოიწვია მდინარე პენეიზე საირიგაციო კაშხალის დანგრევამ გუშინდელი კოკისპირული წვიმების შემდეგ, 2 ათასი კაცი უსახლკაროდ დარჩა ცენტრალური საბერძნეთის ლარისის რაიონის ორ სოფელში. ერთ სოფელში, როგორც იუწყებიან, დაინგრა 20 სახლი და ეკლესია. ადამიანთა მსხვერპლის შესახებ არაფერს იუწყება.

ძლიერი წვიმებისა და ქარიშხლის შემდეგ წყალდიდობამ მოიცვა საბერძნეთის ვრცელი ტერიტორია.

დაზარალებული რაიონებიდან სასწრაფოდ ითხოვენ დახმარებას მედიკამენტებითა და სურსათ-სანოვაგით.

☐ **რევოლუციური** შეიარაღებული ძალების სამინისტრომ გამოაქვეყნა ცნობა ამერიკელი იმპერიალისტების ახალ პროვოკაციათა შესახებ კუბის წინააღმდეგ. 23 სექტემბერს ამერიკის ორმოტორიანი სამხედრო თვითმფრინავი პროვოკაციული მიზნით დაფრინავდა სავაჭრო გემის თავზე, რომელიც კუბის ტერიტორიულ წყლებში იყო.

სამინისტროს მეორე ცნობაში აღნიშნულია, რომ ამერიკის სამხედრო თვითმფრინავები კვლავ უხეშად არღვევენ კუბის საჰაერო საზღვრებს. მაგალითად, 25 სექტემბერს დილით ამერიკის სამხედრო თვითმფრინავი კაიო-გილიერმოს გავლით ლას-ვილიასის პროვინციის ჩრდილოეთში რამდენიმე კილომეტრზე შეიჭრა ამ პროვინციაში. თვითმფრინავმა გადაუფრინა 16 დასახლებულ პუნქტს, რომლებიც განლაგებულია ლას-ვილიასისა და კამაგუეის პროვინციათა საზღვრის გაყოლებით.

მონოპოლიების ინტერესებისათვის

ჰააგა, 28 სექტემბერი (საკდესი). ჰოლანდიის მაცივრებში დაგროვდა 29 ათასი ტონა კარაქი, აგრეთვე დიდძალი ყველი და სხვა რძის პროდუქტები, რომლებიც ვერ საღდება მოსახლეობის არასაკმაო მყიდველობითი უნარისა და იმის გამო, რომ ახორციელებენ მაღალი ფასების ხელოვნურად შენარჩუნების პოლიტიკას. როგორც გაზეთი „დე ვაარჰეიდი“ იუწყება, ჰოლანდიის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ვან მარეინენმა შეიტანა წინადადება, მაღალი ფასების შენარჩუნების მიზნით, კარაქის მარაგის მნიშვნელოვანი ნაწილი გადაამუშაონ პირუტყვის საკვებად.

უარი ვუთხრათ დე გოლის რეფორმას

პარიზი, 27 სექტემბერი. (საკდესი). საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს სხდომამ, რომელიც გუშინ ნაშუადღევს გაიმართა, განიხილა ტექსტი კონსტიტუციის რეფორმის კანონპროექტისა, რომელიც პრეზიდენტ დე გოლის დაჟინებული მოთხოვნით მალე უნდა გაიტანონ რეფერენდუმზე. სხდომის დამთავრების შემდეგ ინფორმაციის საკითხთა მინისტრმა ფუშემ განაცხადა, რომ კანონპროექტის ტექსტი ძირითადად მზად არის. საბოლოოდ კანონპროექტს მოიწონებს მთავრობა მინისტრთა საბჭოს სხდომაზე სამშაბათს 2 ოქტომბერს, პარლამენტის საშემოდგომო სესიის გახსნამდე სულ რამდენიმე საათის წინ.

ამ დღეს პრეზიდენტი დე გოლი წერილით მიმართავს პარლამენტს.

როგორც ცნობილია, დე გოლს განზრახული აქვს კონსტიტუციის რეფორმის საშუალებით შეცვალოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევის წესი. თუ მისი გეგმა განხორციელდა, პრეზიდენტს საყოველთაო კენჭისყრით აირჩევენ. ამით გაძლიერდება ერთპიროვნული ხელისუფლება.

საფრანგეთის დემოკრატიული საზოგადოებრიობა მკვეთრად გმობს დე გოლის პროექტებს, რადგან მიაჩნია ისინი იმისადმი მისწრაფებად, რომ მონოპოლისტური კაპიტალის აშკარა დიქტატურა დამყარდეს საფრანგეთში.

შრომის საყოველთაო კონფედერაციის ადმინისტრაციულმა კომისიამ გამოაქვეყნა განცხადება, სადაც გამოაშკარავებულია ახალი სერიოზული საფრთხე, რომელიც ემუქრება საფრანგეთს იმის გამო, რომ სახელმწიფოს მეთაურს განზრახული აქვს დაიმტკიცოს, გაიფართოოს და დაიმკვიდროს თავისი გადაჭარბებული რწმუნებანი. პირადი ხელისუფლება, ხაზს უსვამს შრომის საყოველთაო კონფედერაცია, სულ უფრო იქცევა ერთი ადამიანის ფაქტიურ დიქტატურად. საფრანგეთის ყველაზე მასობრივი და მძლავრი პროფკავშირული გაერთიანება მოუწოდებს მუშათა კლასს და ყველა ჭეშმარიტ რესპუბლიკელს — უარყონ კონსტიტუციის რეფორმის პროექტი.

სახელმწიფო გადატრიალება იემენში

კაირო, 28 სექტემბერი (საკდესი). იემენიდან მიღებულ ცნობათა მიხედვით, იემენის არმიამ სახელმწიფო გადატრიალება მოახდინა, გამოაცხადა, რომ იქ ლიკვიდირებულია მონარქიული რეჟიმი და ამიერიდან იემენი არაბთა რესპუბლიკაა. როგორც იემენის დედაქალაქ სანის რადიო იუწყება, რომელსაც აჯანყებული არმია უწევს კონტროლს, უკანასკნელი მეფე იმამ მუჰამედ ბენ აჰმედი დაიღუპა თავისი სასახლის ნანგრევებში, რომელსაც არტილერიის ცეცხლი დაუშინეს 26 სექტემბრის ღამით.

სანაში საკომენდანტო საათი შემოიღეს. ძალაუფლება სამხედრო პირების ხელშია.

ცვლილებები ბულგარეთის მთავრობის შემადგენლობაში

სოფია, 28 სექტემბერი. (საკდესი). დღეს გამოქვეყნდა ბულგარეთის სახალხო კრების პრეზიდიუმის ბრძანებულება მთავრობის შემადგენლობაში მომხდარ ცვლილებათა შესახებ. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე სტანკო ტოდოროვი განთავისუფლებულია სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან, რათა მან შეძლოს მთავარი ყურადღება მიაპყროს ეკონომიური თანამშრომლობის საკითხებს მინისტრთა საბჭოში. სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ჟივკო ჟივკოვი.

უხეში ჩარევა

სოფია, 28 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ბულგარეთის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება ანკარიდან, თურქული ყოველკვირეული „ენი“ წერს, რომ უცხოელმა კაპიტალისტებმა 600 ათასი დოლარი გაიღეს იმისათვის, რომ დააფინანსონ შეტევა თურქეთის მემარცხენე ძალების წინააღმდეგ.

ეს ერთი ხანია უცხოელი კაპიტალისტები და მათი თურქი კომპანიონები სისტემატურად იწვევენ სპეციალურ სხდომებს, რათა განიხილონ ღონისძიებანი, თუ როგორ იბრძოლონ მემარცხენე ძალების წინააღმდეგ და ქვეყნის ეკონომიკაში ეტატიზმის პრინციპის წინააღმდეგ, რომელიც ქემალ ათათურქმა გამოაცხადა.

„იღებს თუ არა მთავრობა, — კითხულობს ყოველკვირეული, — ღონისძიებებს თურქეთის საშინაო საქმეებში ამ უხეში ჩარევის წინააღმდეგ, რაც შეუთავსებელია ქვეყნის დამოუკიდებლობასთან? აინტერესებს თუ არა მას, უცხოეთის რა წყაროებიდან აფინანსებენ ამ საქმიანობას?“.



რადაც უნდა დაგვიჯდეს, უნდა შევინარჩუნოთ დასავლეთის ცივილიზაციის ეს მარჯვე ავანპოსტი!

ნახატი ყოველკვირეულ „ფრანს ნუველიდან“. პარიზი.

მშვიდობა დედამიწაზე —ხალხთა დიდი საზრუნავი

ნიუ-იორკი, 28 სექტემბერი. საკდესის კორესპონდენტი ვ. ბოგაჩოვი იუწყება:

გენერალური ასამბლეის გუშინდელ დილის პლენარულ სხდომაზე გრძელდებოდა საერთო დისკუსია პოლიტიკურ საკითხთა შესახებ.

პირველი გამოვიდა ფილიპინების საგარეო საქმეთა მინისტრი პელაეზი, რომელმაც ქება-დიდება შეასხა ეგრეთწოდებული „თავისუფალი მეწარმეობის“ სისტემას და ცადა დაესახა ფილიპინები როგორც მაგალითი აზიის სხვა ქვეყნებისათვის. მან გაიმეორა გაცვეთილი ამერიკული პროპაგანდა, ბევრი ილაპარაკა აზიის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის „ძირგამომთხრელ ხასიათზე და წავიდა იმის წინააღმდეგ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნო გარდაიქმნას მსოფლიოში არსებული ქვეყნების სამი დაჯგუფების გათვალისწინებით. ამასთან განაცხადა, თითქოს ეს ცივი ომის სულისკვეთებას შეიტანდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობაში.

პელაეზმა თავისი გამოსვლის ნაწილი მიუძღვნა ფილიპინების მთავრობის პრეტენზიებს ჩრდილოეთ ბორნეოს ტერიტორიის მიმართ, რომელიც ამჟამად ინგლისის მმართველობაშია.

შემდეგ გამოვიდა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი ჰიუმი.

ჰიუმი მიესალმა ჟენევის შეთანხმების დადებას ლაოსის შესახებ და უწოდა მას „პრაქტიკული მოქმედების დროული დემონსტრაცია შერიგების ხელოვნებაში“. ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა შეიტანა წინადადება, რომ გენერალურმა ასამბლეამ მიიღოს რეზოლუცია იმის შესახებ, რომ წარმოშობილი შეიარაღებული კონფლიქტები „დაუყოვნებლივ იზოლირებულ უნდა იქნეს და შეწყდეს. „ჩვენი გონება უნდა უწევდეს კონტროლს ჩვენს ვნებათაღელვას“, განაცხადა ჰიუმმა.

მაგრამ ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა, თავისი საკუთარი მოწოდების აშკარა საწინააღმდეგოდ, იქვე იკისრა მარქსისტული ფილოსოფიის გამბათილებლის უმადური როლი. იგი თავზე ცეცხლს აყრიდა მატერიალიზმსა და ათეიზმს და მოუწოდებდა „აღვკვეთოთ მარქსიზმიო“. მაგრამ ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი მაინც იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ „მეოცე საუკუნეში საშიშია პოლიტიკურ-რელიგიური შეიარაღებული ჯვაროსნული ლაშქრობანი“.

ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა ცილისმწამებლურ გამოხდომებს მიმართა საბჭოთა კავშირის პოლიტიკის წინააღმდეგ და დაჟინებით მოითხოვა, რომ ყველა სადავო საერთაშორისო პრობლემა გადაიჭრას მხოლოდ დასავლეთის სახელმწიფოთა პირობების მიხედვით.

გუშინდელ დილის სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე კამბოჯის, საბერძნეთისა და ჰაიტის დელეგატები.

კამბოჯის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მინისტრმა ჰოუტ სამ ბათჰმა მოითხოვა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ შეწყვიტოს „უსამართლო, სასაცილო და უგუნური პოლიტიკა“ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიმართ, აღადგინოს ჩინეთის ერთადერთი კანონიერი მთავრობის უფლებები გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. მან გულისწყრომით აღნიშნა, რომ სამხრეთ ვიეტნამისა და ტაილანდის ხელისუფლები პროვოკაციულ მოქმედებას განაგრძობენ კამბოჯის საზღვარზე კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით და მოსთხოვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული ხელშეუხებლობის გარანტიები.

ამას წინათ გუაიაკილში (ეკვადორი) ბანკების მოსამსახურეთა დიდი გაფიცვები გაიმართა. გაფიცვების მონაწილენი მოითხოვდნენ უმუშევრობის წინააღმდეგ ზომების მიღებას და გამოვიდნენ დემოკრატიული ორგანიზაციების უფლებათა დასაცავად.

სურათზე: ქარხანა „სერვესერია ნასიონალის“ მუშები გაფიცული არიან ბანკების მოსამსახურეებთან სოლიდარობის ნიშნად.

საკდესის ფოტოქრონიკა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XVII სესია



კამბოჯის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მინისტრმა აღნიშნა, რომ სამოქალაქო ომი სამხრეთ ვიეტნამში სულ უფრო სასტიკ ხასიათს იღებს და ხაზი გაუსვა, რომ საეჭვოა უცხოელთა „პირდაპირმა და აშკარა“ ინტერვენციამ შეძლოს სამხრეთ ვიეტნამის პრობლემის გადაჭრა.

საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ავეროფმა კმაყოფილებით აღნიშნა ლაოსის, დასავლეთ ირიანის პრობლემათა მშვიდობიანი მოწესრიგება, აგრეთვე ის, რომ ალჟირმა დამოუკიდებლობას მიაღწია. იგი შეეხო გერმანიის პრობლემას და ამტკიცებდა, ბონი თითქოს „ანტიმილიტარისტული გერმანიის“ წარმომადგენელი იყოს, რაც, როგორც მან თქვა, უფრო დამაჯერებელს ხდის შეთანხმებას“.

ნიუ-იორკი, 27 სექტემბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XVII სესიის გენერალური კომიტეტის სხდომაზე, რომელიც 26 სექტემბერს გაიმართა, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მისცენ რეკომენდაცია, რომ სესიამ დღის წესრიგში შეიტანოს საბჭოთა კავშირის მიერ წარმოდგენილი ისეთი დიდმნიშვნელოვანი პუნქტები, როგორიც არის პრევენტული ატომური ომის პროპაგანდის დაგმობის საკითხი და განიარაღების ეკონომიური პროგრამის საკითხი.

რომ საჭიროა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XVII სესიაზე ამ საკითხთა განხილვა, ეს იმდენად ნათელია, რომ დასავლეთის სახელმწიფოთა ვერც ერთმა წარმომადგენელმა ვერ ცნო შესაძლებლად წამოეყენებინა რაიმე საწინააღმდეგო მოსაზრება. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ მიმართა თავის ძველ ნაცად მანევრს: შეეცადა ამ საკითხთა განხილვა გენერალური ასამბლეის პლენარული სხდომებიდან ასამბლეის კომიტეტებში გადაეტანა.

დასავლეთის ბლოკის ქვეყნების და ლათინური ამერიკის სახელმწიფოთა ავტომატური ხმის უმრავლესობით ეს საკითხები შეტანილია პოლიტიკური და ეკონომიური და ფინანსურ საკითხთა კომიტეტების დღის წესრიგში.

ჰაიტის წარმომადგენლის გამოსვლის შემდეგ თავმჯდომარემ დახურულად გამოაცხადა გენერალური ასამბლეის დილის სხდომა.

ნიუ-იორკი, 28 სექტემბერი (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ 27 სექტემბრის დღის პლენარულ სხდომაზე დაამტკიცა გენერალური კომიტეტის ის რეკომენდაციები, რომ ასამბლეის XVII სესიის დღის წესრიგში შეტანილ იქნეს სსრ კავშირის დელეგაციის მიერ წარმოდგენილი საკითხები: „პრევენტული ატომური ომის პროპაგანდის დაგმობის შესახებ“ და „განიარაღების ეკონომიური პროგრამა“.

საერთო დისკუსიაში სხდომაზე გამოვიდნენ ჩილის, თურქეთის, ცეილონისა და ტაილანდის წარმომადგენლნი.

ჩილის საგარეო საქმეთა მინისტრმა მარტინეს სოტომაიორმა განაცხადა, რომ თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ვერ აიძულებს დიდ სახელმწიფოებს გადაჭრან განიარაღების პრობლემა, მაშინ მან მაინც უნდა მოახდინოს ამ სახელმწიფოებზე „მორალური ზეგავლენა“, რათა თავიდან ავიცილოთ ატომური ომის საფრთხე. მან თქვა, რომ მისი ქვეყანა მხარს დაუჭერს ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის მორატორიუმს.

ჩილიელმა მინისტრმა გაილაშქრა კარდახშულ ეკონომიურ დაჯგუფებათა შექმნის წინააღმდეგ, რომლებიც ხელს უშლიან ქვეყნებს შორის ნორმალურ სავაჭრო გაცვლას. იგი დაწვრილებით შეეხო საგარეო ვაჭრობაზე დამოკიდებული ლათინური ამერიკის ქვეყნების ეკონომიკის მერყევ მდგომარეობას. ზარმან, თქვა მარტინეს სოტომაიორმა, ლათინური ამერიკის ეკონომიური მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. სწორი არ იქნებოდა მიგვეჩნია, რომ დასავლეთ ნახევარსფერო ერთიანია და რომ მისი ქვეყნები მჭიდროდ თანამშრომლობენ ერთმანეთთან.

თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჯემალ ერკინი შეეხო თურქეთის საშინაო პრობლემებს. მან აღუთქვა გენერალურ ასამბლეას, რომ თურქეთის მთავრობა „განახორციელებს სერიოზულ ღონისძიებებს თავისი სწრაფი ეკონომიური და სოციალური განვითარებისათვის“. თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მოუწოდა დელეგატებს სერიოზული ყურადღება მიაქციონ საყოველთაო და სრული განიარაღების პრობლემას, რადგანაც ამ პრობლემის გადაჭრაზე დამოკიდებულია მთელი კაცობრიობის ბედი.

მაგრამ შეეხო რა ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის საკითხს, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მხარი დაუჭირა ინსპექციის გაგზავნას ადგილებზე, ესე იგი ისეთ მოთხოვნას, რომელსაც ყოველთვის აყენებენ დასავლეთის სახელმწიფოები, და რომელმაც ჩიხში მოაქცია მოლაპარაკება ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ.

ცეილონის დელეგაციის მეთაურმა მალალასეკერამ კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ გადაიჭრა ლაოსისა და დასავლეთ ირიანის პრობლემები. მან შემდეგ განაცხადა, რომ მისი ქვეყნის შეშფოთებას იწვევს ევროპის საერთო ბაზრის აქტივიზაცია. პატარა ქვეყნები, თქვა მან, შეიძლება აღმოჩნდნენ ეკონომიურ გიგანტთა ბატონობაში. ცეილონის დელეგატმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის მიერ წარმოდგენილ „განიარაღების ეკონომიურ პროგრამას“ დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც იგი ასახავს გამალებულ შეიარაღებასთან დაკავშირებით შექმნილ მდგომარეობას.

სხდომაზე უკანასკნელი გამოვიდა ტაილანდის საგარეო საქმეთა მინისტრი კომანი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტრიბუნა კომანმა იმისათვის გამოიყენა, რომ ცილი დაეწამებინა კამბოჯის მთავრობის პოლიტიკისათვის.

ახალი ცხოვრების დიდი მწერლობა

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მ. გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტისა და საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გაერთიანებულ სამეცნიერო სხდომაზე, რომელიც 26 სექტემბერს თბილისში გაიმართა და მიეძღვნა გაზეთ „კავკაზში“ მაქსიმ გორკის „მაკარ ჩუდრას“ გამოქვეყნების 70 წლისთავს, დიდი მწერლის მარტო ამ პირველ მოთხრობაზე როდი იყო ლაპარაკი...

ქვემოთ შემოკლებული სახით ვაქვეყნებთ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მ. გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლების ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორების ბ. ბიალიკისა და ვ. შჩერბინას მოხსენებებს, რომლებშიც ისინი გორკის შემოქმედებასთან ერთად სოციალისტური რეალიზმის არაერთ უაღრესად აქტუალურ საკითხსაც ეხებიან.

კაცობრიობისათვის ანთებული გული

ბორის ბიალიკი,
ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

ზობარისა და რადასათვის, რომელნიც ამაღლდნენ თავიანთი ტომის სულიერ სამყაროსა და ჩვეულებებზე, სხვა გამოსავალი არ იყო, გარდა სიკვდილისა. ამ ტრაგიკულ კოლიზიას ღრმა ცხოვრებისეული ახსნა ჰქონდა; რომანტიკული ლეგენდა სავსებით რეალური ნიადაგიდან ამოდიოდა. მაკარ ჩუდრა ამ ლეგენდას ტყუილად კი არ იწყებდა სიტყვებით: „...გინდა, ერთ ნამდვილ ამბავს გიამბობ?“. და ლეგენდაში ტყუილად როდი გაისმის ორჯერ უნგრეთის 1848 წლის რევოლუციის გმირის კოშუტის სახელი. თავისუფლებისმოყვარეობა რადას გადაეცა მისი მამისაგან — ჯარისკაც დანილოსაგან, რომელიც „კოშუტთან ერთად ომობდა“ და რომელიც ეუბნება პანს, მთელ თავის სიმდიდრეს რადას სანაცვლოდ რომ სთავაზობდა: „მხოლოდ პანები ჰყიდიან ყველაფერს, თავიანთი ღორებით დაწყებული და თავიანთი სინდისით დამთავრებული, მე კი კოშუტთან ერთად ვომობდი და არაფრით არ ვვაჭრობ!“. ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტის განსაკუთრებულ მნიშვნელობას, რომ ეს სახელი, რომელიც მაშინ რუსეთში თითქმის აკრძალული იყო, გაზეთ „კავკაზის“ ფურცლებზე გამოჩნდა 1892 წლის სექტემბერში, სწორედ იმ მომენტში, როცა ბევრი ქვეყნის მოწინავე საზოგადოებრიობა ემზადებოდა საზეიმოდ ედღესასწაულა მაშინ ჯერ კიდევ ცოცხალი კოშუტის დაბადების 90 წლისთავი.

ამ შენიშვნებს იმიტომ კი არ ვაკეთებ, რომ გორკის მშვენიერ ლეგენდას წავართვა უფლება ლეგენდა ეწოდებოდეს და საეჭვო გავხადო მისი მკაფიო რომანტიკული ხასიათი, არა, ვამბობ რა, რომ ღრმა ცხოვრებისეულია ტრაგიკული კოლიზია, რომელიც საფუძვლად უდევს ლოიკოსა და რადას ისტორიას, მე მინდა მხოლოდ ვთქვა რომ ამ ლეგენდის რომანტიკა განყენებული არ ყოფილა, რომ იგი მთელი თავისი არსით ღრმად რევოლუციური იყო.

უკეთ მიხვდებით, რა განწყობილება ჰქონდა გორკის, როცა იგი „მაკარ ჩუდრას“ ქმნიდა, თუ დავუფიქრდებით მისი იმ ლექსის აზრს, რომელიც დაწერილია „თბილისური რვეულის“ გადარჩენილ ფურცელზე, რვეულისა, რომელიც ამჟამად ა. მ. გორკის არქივში ინახება. ცოტა უფრო გვიან, 1893 წელს, გორკიმ ამ ლექსის ცალკეული სტრიქონები გადაამუშავა და შეიტანა ზღაპარში „მატყუარა ჭივჭავისა და ჭეშმარიტების მოყვარული კოდალას შესახებ“. მებრძოლური რევოლუციური პათოსი **ლექსისა, რომელიც ახლა, სამოცდაათი წლის შემდეგ, პირველად თბილისში ქვეყნდება,** იმდენად ნათელია, რომ მეფის ყველაზე სულელი ცენზორებიც კი არ დაუშვებდნენ მის დაბეჭდვას.

Бей! Здесь объявлена богам
За право первенства война.
Кто робко к чьим падет ногам —
На то ответят времена!
Пусть ад горит в моей крови
И сердце злобно плачет в ней.
Пустое! Все-таки живи
И если руки могут — бей!
Бей мрак, сковавший всё кругом!
Гром разбиваемых оков
Рокочет в сумраке ночном
И насмерть бьет трусливых сов!

ძველი მითის თანახმად, ღმერთებმა, რომლებსაც პრომეთე აუჯანყდა, დასასჯელად იგი კავკასიის მთებს მიაჯაჭვეს. და აი ჭაბუკი მწერალი, ამ მთებს რომ უყურებს, ჰიმნით მიმართავს იმათ, ვინც ომი გამოუცხადა ღმერთებს და ვინც ყველა ხუნდებს ამსხვრევს. მან იმ ხანებშივე ჩაიფიქრა ლეგენდა სახალხო გმირის დანკოს შესახებ, რომელმაც უბრალოდ კი არ წაართვა ღმერთებს ცეცხლი, რომ იგი ადამიანებისათვის მიეცა, არამედ ეს ცეცხლი საკუთარი გულიდან ამოიღო, რათა გასძღოლოდა ადამიანებს ყველა ღმერთების წინააღმდეგ, ყველა მეუფეთა და მჩაგვრელთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

ახლა საჭირო აღარ არის მტკიცება, თუ რაოდენ დაშორებული იყვნენ ჭეშმარიტებას კრიტიკოსები, რომლებიც ოდესღაც გორკის უწოდებდნენ მაწანწალობის მგოსანს, ბოსიაკური ანარქიზმის გამომხატველს და ა. შ. გასაკვირველია, რომ კრიტიკის ერთ-ერთი შეცდომა ცოცხლობს დღემდე — ის შეცდომა, რომ ადრინდელი გორკისათვის ახლობელი იყო ნიცშეანობა. რეაქციული ფილოსოფია, რომელიც მასას უპირისპირებდა ძლიერ პიროვნებას, ზეკაცს. ეს შეცდომა დღემდე გრძელდება უცხოეთის კრიტიკულ ლიტერატურაში, ამასთან არა მარტო ბურჟუაზიულ, არამედ ზოგჯერ ჩვენთან ახლოს მდგომ კრიტიკულ ლიტერატურაში. ჩანს, აქ როლს ასრულებს ის გარემოება, რომ გორკის ადრინდელ შემოქმედებას მეტისმეტად უახლოებენ სიტყვის სხვა გამოჩენილი მხატვრების შემოქმედებას, რომლებიც ლიტერატურაში თითქმის გორკისთან ერთდროულად შევიდნენ და იწყეს მისი ბოსიაკების მსგავსი გმირების დახატვა. ეს დამთხვევა თავისთავად შემთხვევითი როდი იყო: კნუტ ჰამსუნის მაწანწალებიც, ჯეკ ლონდონის მარტოხელა ბუნტარებიც, ახალგაზრდა გორკის საყვარელი გმირებიც იმ ფაქტის „ნივთმტკიცება“ იყო, რომ კაპიტალისტური წყობილება შევიდა კრიზისისა და დაქვეითების პერიოდში, რომ მსოფლიოს უმწვავესი სოციალური კატაკლიზმები მოელოდა. მაგრამ ამ მწერლებიდან თვითეული სხვადასხვაგვარად ეკიდებოდა ერთმანეთის მსგავს გმირებს.

კნუტ ჰამსუნი იზიარებდა თავისი გმირების — მაწანწალების განწყობილებას; ნიცშეანობა მისთვის მართლაც მახლობელი აღმოჩნდა. ამიტომ შემდეგში შემთხვევითი როდი იყო მისი საბედისწერო შეცდომა, როცა მან გერმანელი ფაშისტები, რომლებმაც მისი სამშობლო — ნორვეგია დაიმონეს, მიიღო თავის სულიერ მოკავშირეებად და ამისათვის იგი ხალხმა დასაჯა განკიცხვის საშინელი სასჯელით. ჯეკ ლონდონი მტკივნეულად მერყეობდა ეპოქის მოწინავე იდეებსა და ნიცშეანობას შორის, ხან ადიოდა დიდ იდეურ და მხატვრულ სიმაღლეზე, ხან კი განიცდიდა ასეთი ნიჭიერი მწერლისათვის საოცარ ჩავარდნებს. ბოლოს და ბოლოს, ამ წინააღმდეგობებიდან გამოსავალი რომ ვერ იპოვნა, მან არსებითად თვითონ ამოშალა თავისი თავი ცხოვრებიდან. გორკიმ თავიდანვე დაგმო ნიცშეანობა „არწივის შვილის“ ლარას სახით, რომელსაც ხალხმა მარადიული მარტოობა მიუსაჯა, და ქება-დიდებით შემოსა სახალხო გმირი დანკო.

საიდან აიღო გორკიმ თავის პირველ ნაწარმოებთა გმირული პათოსი, მათი რევოლუციური სულისკვეთება, მშობლიური ქვეყნის ხვალინდელი დღის მათი რწმენა?

მინდა გავახსენოთ ის მოგზაურობა, რაც გორკის ჰქონია მანამდე, სანამ ლიტერატურის გზას დაადგებოდა. იგი მიდიოდა მშობლიური ქვეყნის გზებით საშინელი შიმშილობის დროს, როცა სასოწარკვეთილი გლეხები მთელი სოფლობით ტოვებდნენ თავიანთ საცხოვრებელ ადგილებს და მიდიოდნენ სამხრეთისაკენ სამუშაოს და პურის შოვნის იმედით, გზაში კარგავდნენ ასეულ ათასობით დაუძლურებულ მოხუცებსა და ბავშვებს, გზის ნაპირებზე მარხავდნენ ათეულ ათასობით მკვდარს. საშინელი სახალხო უბედურების შესახებ წერდნენ მაშინ ლევ ტოლსტოი და კოროლენკო. ფრიდრიხ ენგელსმა თავის ერთ-ერთ წერილში თქვა, რუსეთი განიცდის კრიზისს, რომლის შედეგები მრავალი წლის მანძილზე გაჰყვებაო.

ჭაბუკ ალექსი პეშკოვს, რომელიც მიდიოდა დამშეულ ხალხთან ერთად და ხედავდა ამ უბედურების მთელ საშინელებას, საკმაო მიზეზები ჰქონდა, რომ სულიერად დაღლილიყო, სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილიყო, იარაღი დაეყარა. იგი ცემით არაერთხელ მიუყვანიათ სიკვდილის პირამდე, არაერთხელ ჩაუგდიათ საპყრობილეებში, კინაღამ დაიხრჩო ქერჩის სრუტეში და საერთოდ თავისი შემოქმედების დაწყების წინ ათობით სიკვდილი გამოიარა. მაგრამ იგი არათუ არ დაძაბუნებულა, არამედ გამოაქვეყნა ადამიანისადმი, სიცოცხლისადმი, თავისი ქვეყნის მომავლისადმი სასიხარულო რწმენით გამსჭვალული ნაწარმოებები.

რა დაეხმარა მას ჩაედინა ეს სულიერი გმირობა? ბევრი რამ: წინააღმდეგობის უნარის ის მარაგიც, რომელიც მას ადრიანმა შრომითმა ცხოვრებამ მისცა, ის სულიერი ენერგია, რომელიც მას წიგნებმა მისცა, რევოლუციურ იდეებთან ნაცნობობამაც. დიდი როლი შეასრულა იმ ფაქტმა, რომ გორკი 1891 წლის ნოემბერში ჩამოვიდა თბილისში, სადაც შეხვდა მუშებსაც, რომლებსაც დაუმეგობრდა თბილისის რკინიგზის სახელოსნოებში, რევოლუციური ინტელიგენციის წარმომადგენლებსაც, და თვით საქართველოსაც, მისი განსაკუთრებული, სულის ამამაღლებელი მშვენიერი ბუნებით და მისი ხალხით, რომელზეც გორკიმ შემდეგში თქვა: „შესანიშნავი ქართველი ხალხი — რომანტიკოსი, რომელსაც უზომოდ უყვარს თავისი ქვეყანა, მისი მზიანი ღვინო და შესანიშნავი სიმღერები“. ყოველივე ამან ხელი შეუწყო გენიალურ ჭაბუკს განთავისუფლებულიყო სულის შემხუთავი სიმძიმისაგან და ეთქვა თავისი საგალობელი — საუცხოო, მზიური თავისუფლებისადმი მისწრაფებით გამსჭვალული.

მე კიდევ დავუბრუნდები საკითხს, თუ რა როლი შეასრულა გორკისათვის მისმა ყოფნამ თბილისსა და საქართველოში, ახლა კი მინდა შევეხო მეორე დიდმნიშვნელოვან გარემოს.

მოთხრობა „მაკარ ჩუდრას“ და ახალგაზრდა გორკის სხვა, ამ მოთხრობასთან ახლოს მდგომი ნაწარმოებების მნიშვნელობა, მათი გამოჩენის დროულობა და, მე ვიტყოდი, აუცილებლობა — ყველაფერი ეს ჩვენთვის ნათელი გახდება, რომ გავიხსენოთ, თუ რას ფიქრობდნენ მაშინ, 90-იანი წლების დასაწყისში, რუსული ლიტერატურის უდიდესი წარმომადგენლები მისი მდგომარეობისა და ამოცანების შესახებ. მე მივმართავ მხოლოდ ერთს ამ წარმომადგენელთაგან, იმას, რომელიც მაშინ თავისი გენიის თითქმის ყველაზე შესანიშნავ აღმაფრენას განიცდიდა: ჩეხოვს. მის 1891-1892 წლების წერილებში ასახულია ზრუნვა და შეშფოთება, რაც გამოწვეული იყო საშინელი სახალხო უბედურებით—შიმშილობით და მისი არანაკლები შედეგებით — ეპიდემიებით. რაც განსაკუთრებით აღელვებდა ანტონ პავლეს-ძეს როგორც ექიმს.

და აი სწორედ იმ 1892 წელს, როცა ჩეხოვი გამოვიდა თავისი მგზნებარე მოწოდებით მოწინავე იდეალების სიმაღლეზე ლიტერატურის აყვანის შესახებ, ხოლო მერეჟკოვსკი მოთხოვნით ამ იდეალებისაგან ლიტერატურის განთავისუფლების შესახებ, — გამოჩნდა გორკის პირველი მოთხრობა, დაიწყო მისი შემოქმედება. ახალგაზრდა მწერლისათვის ჯერ კიდევ არ შეიძლებოდა დაგვერქმია მარქსისტი, მაგრამ მის მიმართ უკვე უმართებულო იქნებოდა სიტყვები: „ჩვენში პოლიტიკა არ არის, რევოლუცია ჩვენ არა გვწამს...“ იგი უკვე ცოცხლობდა, უკვე სუნთქავდა პოლიტიკით, — რამდენიმე წლის შემდეგ 1898 წელს, იგი ტყუილად როდი ჩამოიყვანეს ეტაპით თბილისში რათა აქ გამოეძიებინათ მისი 1892 წლის პოლიტიკური მოღვაწეობის გარემოებანი. მისი ადრინდელი ნაწარმოებები კი გამსჭვალული იყო რწმენით, რომ მოახლებულია გამწმენდი ქარიშხალი, აფეთქება, რომლის შემდეგაც, როგორც ნათქვამი იყო მოთხრობა „ჩელკაშში“, „მის მიერ გაწმენდილ ჰაერში თავისუფლად და ადვილად ისუნთქებს ადამიანი...“ გორკის მაშინ ჯერ კიდევ არ მოუხდენია გადატრიალება ხელოვნებაში, მაგრამ მისი ადრინდელი ნაწარმოებების შესახებ აღარ შეიძლებოდა თქმა: „ჩვენ ვწერთ ცხოვრებას ისეთად, როგორიც იგი არის, არც მეტი, არც ნაკლები...“ დიახ, იგი გვიჩვენებდა — და უშიშარი სიმართლით გვიჩვენებდა — ცხოვრებას ისეთად, როგორიც იგი არის, მაგრამ იგი არ ჩერდებოდა ამაზე, გასაქანს აძლევდა თავის ოცნებას, აშუქებდა იმას, რაც არის, იმის შუქით რაც უნდა იყოს.

მართალია, მიღწეულმა ვერ დააკმაყოფილა გორკი. 1898 წელს მან მოთხრობა „მკითხველში“ გაიმეორა ჩეხოვის აზრი იმის შესახებ, რომ მწერლისათვის აუცილებელია „ზოგადი იდეა“. ჩეხოვისათვის 1900 წელს გაგზავნილ წერილში მან განაცხადა, რომ ჯერ კიდევ არა აქვს ნამდვილი „რელსები“, რომ მას კატასტროფა მოელის. მაგრამ ეს ნიშნავდა, რომ გორკის დააკმაყოფილებდა მხოლოდ სოციალისტური იდეალები, რომლებსაც იგი კიდევაც დაეუფლა 900-იანი წლების დამდეგს, ახალ სიმაღლეზე აიყვანა რა თავისი შემოქმედება და მთელი რუსული და მსოფლიო ლიტერატურა. მაგრამ გორკის 900-იანი წლების მხატვრული აღმოჩენები ვერ მოხდებოდა, რომ არ ყოფილიყო მისი 90-იანი წლების აღმოჩენები. „მაკარ ჩუდრა“ და „სიმღერა შევარდენზე“ რომ არ ყოფილიყო, არ იქნებოდა „მდაბიონი“ და „სიმღერა ქარიშხალაზე“. საჭირო გახდა არა მარტო რუსეთის შემოვლა, არამედ არანაკლებ ძნელი ძიება ლიტერატურაში, რომ მას ტანჯვით მოეპოვებინა მარქსიზმი.

შეიძლება იკითხონ: აქვს თუ არა მთელ ამ მასალებს და გორკის პირველი მოთხრობის შექმნის თვით ისტორიას რამდენადმე აქტუალური მნიშვნელობა დღეს? ყველაფერი ეს ხომ არ წარმოადგენს დღეს ინტერესს მხოლოდ ლიტერატურის ისტორიკოსებისა და არქივისტებისათვის?

არა, გორკის შემოქმედების სათავეები კვლავ არა მარტო დიდმნიშვნელოვანი და მწვავე თემაა სამეცნიერო გამოკვლევებისათვის, არამედ გაფთრებულ იდეოლოგიურ შეჯახებათა საგანიც არის. დიახაც! გორკი ხომ პროლეტარული ლიტერატურისა და სოციალური რეალიზმის მამამთავარია. იგი ხომ კლასიკური ლიტერატურის შესანიშნავი განმგრძობი და დეკადანსის შეურიგებელი მტერია. იგი ხომ დღესაც მთელი მოწინავე ხელოვნების დროშაა. განა უნდა გაგვიკვირდეს, რომ ჩვენი იდეური მოწინააღმდეგეები და ჩვენი დროის მთელი პროგრესული ხელოვნების მოწინააღმდეგეები არაფერს არ ერიდებიან, რომ ჩრდილი მიაყენონ გორკის, მისი შემოქმედების სათავეებს, რათა დაამტკიცონ, რომ 90-იან წლებში არავითარი ახალი მხატვრული ეპოქა არ დაწყებულა, რომ თუ რამე კიდევაც დაიწყო მაშინ, ეს იყო სულ სხვა რამ, რაც ნაკლებ მნიშვნელოვანი იყო და სწრაფად დამთავრდა...

ალექსი მაქსიმეს-ძის გარდაცვალების დღეს, 1936 წლის 18 ივნისს, მე ლენინგრადის საღამოს „კრასნაია გაზეტაში“ გამოვაქვეყნე სტატია „პროლეტარული დანტე“, რომელშიც მოვიყვანე ენგელსის მიერ 1893 წელს ნათქვამი შემდეგი სიტყვები: „ახლა, ისევე როგორც 1300 წელს, ახალი ისტორიული ხანა იწყება. მოგვცემს თუ არა იტალია ახალ დანტეს, რომელიც ამ ახალი, პროლეტარული ხანის დაბადების ჟამს აღბეჭდავს?“ ეს სიტყვები რომ მოვიყვანე, დავძინე, რომ ენგელსს არ შეიძლებოდა სცოდნოდა ის ფაქტი, რომ მანამდე უკვე ერთი წლით ადრე შორეულ საქართველოში, თბილისის გაზეთ „კავკაზში“ დაიბეჭდა პირველი ნაწარმოები მწერლისა, რომელსაც ეწერა შეესრულებინა დიადი ამოცანა — აღებეჭდა პროლეტარული ხანის დაბადების ჟამი.

განა დღეს, სამოცდაათი წლის შემდეგ არ მეორდება იგივე სურათი? განა ჩვენი დროის მოწინავე ლიტერატურის მტრები არ აბრალებენ მას ჯოგურობას, უხეშობას, „ფოტოგრაფიზმს“ და სხვ. და ა. შ., უპირისპირებენ რა მას ილუზიების ხელოვნებას, რომელიც მტრულია რეალიზმისადმი? განა დღეს — სოციალისტური ხანის ძლევამოსილი განვითარების დროს — არ გრძელდება და არ ღრმავდება სწორედ ის იდეური ბრძოლა, რომელიც დაიწყო ამ ხანის დამდეგს, მაშინ, როცა გორკი ლიტერატურის გზას დაადგა?

აი რატომ არ შეიძლება არ მივესალმოთ ქართველ ლიტერატურათმცოდნეებს, რომლებიც ესოდენ ძალას ახმარენ გორკის ცხოვრებისა და შემოქმედების თბილისის პერიოდის შესწავლას. მით უფრო საკვირველია ის ფაქტი, რომ თბილისში დღემდე არ არის გორკის მუზეუმი.

არ შევეხები იმ საკითხს, თუ სად უნდა მოეწყოს ეს მუზეუმი — ნაჩალოვის ბინაში, სადაც ალექსი მაქსიმეს-ძე ცხოვრობდა თბილისში ჩამოსვლის შემდეგ, კალიუჟნის სახლში, სადაც მან დაწერა მოთხრობა „მაკარ ჩუდრა“, თუ სხვა ადგილას.. ეს ქართველმა ამხანაგებმა უნდა გადაწყვიტონ ყველა გარემოების აწონდაწონით. მაგრამ ასეთი მუზეუმი რომ უნდა შეიქმნას — ეს სავსებით უეჭველია. ეს იქნება არა მარტო გორკის მუზეუმი, არამედ რუსეთ-საქართველოს ლიტერატურული და კულტურული ურთიერთობის მუზეუმიც. უფრო მეტიც: ეს იქნება ერთ-ერთი ყველაზე შესანიშნავი მუზეუმი ხალხთა მეგობრობის მუზეუმებიდან, რომლებიც გვიჩვენებენ, თუ სულიერი ენერგიის რა უსაზღვრო წყაროებს შეიცავს ეს მეგობრობა. და სრული რწმენით შეიძლება ითქვას: ეს იქნება თბილისში ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი მუზეუმი, სადაც მიმსვლელთა ნაკადი არ შეწყდება.

„ზღვიდან ქროდა ტენიანი, ცივი ქარი და ველად მიჰქონდა ნაპირზე ტალღის ტყლაშუნისა და ნაპირის ბუჩქების შრიალის [illegible] — [illegible]...“

მას შემდეგ, რაც ეს სტრიქონები — მოთხრობა „მაკარ ჩუდრას“ პირველი სტრიქონები დაიწერა, სამოცდაათმა წელმა განვლო. ვადა საერთოდ მცირე როდია, ხოლო თუ გავითვალისწინებთ, რა ამბები მოხდა მსოფლიოში ამ დროის მანძილზე, რა ქარები ქროდა და რა ტალღები გადადიოდა დედამიწის ზურგზე, — უდიდესი ვადაა.

ამ ხნის განმავლობაში გრანდიოზულ სოციალურ გადატრიალებებთან ერთად ხდებოდა გადატრიალებანი ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში, კაცობრიობის მხატვრულ განვითარებაში. სწორი არ არის, რომ ამ მხრივ XX საუკუნე უთმობს XIX საუკუნეს. მან უკვე მოგვცა სიტყვის, ბგერებისა და ფერების ისეთი გენიოსები, რომლებმაც კაცობრიობა გაამდიდრეს სინამდვილის ახალი ხილვით, გააღრმავეს ადამიანთა უნარი სილამაზის გაგებისა და შექმნისა. სხვა საქმეა, რომ XX საუკუნე — სწორედ იმიტომ, რომ იგი ახალი სამყაროს გამარჯვების, კომუნისტური იდეალების გამარჯვების საუკუნე გახდა — არის ძველი სამყაროს დამარცხების, დაშლის, სულიერი კვდომის საუკუნეც. ამ დაშლის მხატვრულად გამომხატველები არაერთხელ გამოსულან განცხადებით, რომ „გორკი დასრულდა“, რომ იგი „არც დაწყებულა“, რომ დასრულდა, ხოლო, შესაძლოა, არც დაწყებულა ლიტერატურა, რომლის ფუძემდებელიც იგი იყო.

სად არიან ახლა ამ განცხადებათა ავტორები? ისინი ჩნდებოდნენ და ქრებოდნენ, და უკვე არავის არ აინტერესებს მათი არც დასაწყისი და არც ბოლო.

ხოლო ნიჟნინოვგოროდელი სამქროს მუშა ალექსი პეშკოვი, დიდი პროლეტარული მწერალი მაქსიმ გორკი მიაბიჯებს მშობლიური ქვეყნისა და მთელი მსოფლიოს გზებზე, თავისი ჩაუქრობელი გულის ცეცხლით ათბობს მილიონობით ადამიანთა სულს. და მის გზას არა აქვს დასასრული!



სურათებზე: (მარცხნივ) — პოეტი-აკადემიკოსი ი. აბაშიძე და მ. გორკის მეუღლე ე. პეშკოვა. (მარჯვნივ) მარცხნიდან — ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ვ. რ. შჩერბინა, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ა. ი. ოვჩარენკო, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორები გ. ლომიძე, ბ. ა. ბიალიკი, რ. მ. სამარინი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი უ. ა. გურალნიკი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ამ სურათზე, რომელიც გადაღებულია 1899 წელს, თქვენ ხედავთ მ. გორკისა და ე. პეშკოვას თავიანთ შვილთან პატარა მაქსიმესთან ერთად.

მარად ცოცხალი სიტყვა

ვლადიმერ შჩერბინა,
ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი.

თბილისთან დაკავშირებულია გორკის შემოქმედებითი ბიოგრაფიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პერიოდი.

მომავალმა დიდმა მწერალმა თბილისში ჰპოვა მახლობელი სულიერი წრე. მთელი რიგი წლების მანძილზე ხეტიალის, ცხოვრების მძიმე დარტყმების შემდეგ მან აქ ჰპოვა მისთვის ესოდენ საჭირო გაგება. იგი გულითადად მიიღეს ამ წრეში როგორც ამხანაგი, როგორც მახლობელი, ყურადღებითა და თანაგრძნობით მოეპყრნენ.

აქ გორკი შეხვდა ადამიანს, რომელმაც მისი ნიჭი შენიშნა, რომელმაც ურჩია შესდგომოდა ლიტერატურულ მოღვაწეობას, — ალექსანდრე მეთოდეს-ძე კალიუჟნის. აქ გორკის ახლო ურთიერთობა ჰქონდა ქართული კულტურის ისეთ თვალსაჩინო წარმომადგენლებთან, როგორიც იყვნენ ძმები ჩიტაძეები, ივანე ჯაბადარი, ილია აგლაძე, ფილიპე მახარაძე, ლადო დარჩიაშვილი, სერგი რობაქიძე, ეგნატე ნინოშვილი, ნიკო ხუდადოვი, მოსე თოიძე.

ყველა ისინი და საქართველოს სხვა პროგრესული, გულისხმიერი ადამიანები დაეხმარნენ გორკის ეპოვნა სულიერი წონასწორობა, ღრმად ჩასწვდომოდა ხალხის ცხოვრების პროცესებს, დასდგომოდა ლიტერატორის გზას. მათ წრეში თბილისში, გორკიმ არა მარტო „ბევრი რამ განიცადა“, შეაჯამა თავისი წინანდელი შთაბეჭდილებათა მარაგი, არამედ სამუდამოდაც მტკიცედ დაადგა ლიტერატორის გზას.

გორკის მოღვაწეობის თბილისის პერიოდი, რაც მისი ერთ-ერთი უნივერსიტეტი იყო, თვალნათლივ გვიჩვენებს, თუ რაოდენ მდიდარი, მრავალმხრივი იყო მწერლის ცხოვრებისეულ შთაბეჭდილებათა ნაკადი, რა მრავალფეროვანი იყო მისი ადამიანური და ლიტერატურული ურთიერთობა, რა რთული გზებით ახდენდა მასზე ზემოქმედებას სინამდვილე, და ეს გვავალებს ახლა გაცილებით უფრო დაკვირვებულად და დიალექტიკურად გადავწყვიტოთ ეროვნულ ლიტერატურათა ურთიერთმოქმედების პრობლემა, რომელსაც ახლა განსაკუთრებული აქტუალობა ენიჭება.

ყველა ჩვენგანისათვის ნათელი გახდა, რომ სსრ კავშირის ხალხების ლიტერატურათა მონუმენტური ისტორიის შექმნის შთანაფიქრი, რომელიც ახლა ჩვენი ყურადღების ცენტრში დგას, შეუძლებელია განხორციელდეს ისე, თუ სწორად არ გაშუქდა ეს პრობლემა. გორკის ცოცხალი გამოცდილება გვიჩვენებს, რაოდენ უსაფუძვლოა ყოველნაირი გაუბრალოებული შეხედულებანი — როგორც ამ ურთიერთკავშირის კარდახშული ვულგარული უგულებელყოფა, ისე მისი განმარტება როგორც ცალმხრივი გავლენისა.

ამ პრობლემის გაშუქების ნამდვილი მეცნიერულობა უნდა გამოდიოდეს უწინარეს ყოვლისა კონკრეტულ-ისტორიული ფაქტების რეალობიდან და თვითეული ეროვნული ლიტერატურის განვითარების თავისებურებებიდან, თვითეული დიდი მწერლის გზის სირთულიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს პრობლემა საბჭოთა კულტურის არაკეთილმოსურნეთა ფრიად დაკვირვებულ და საეჭვო ყურადღებას იწვევს. მაგალითად, ამას წინათ ამერიკულ ჟურნალ „სერვეიში“ გამოქვეყნდა ჯორჯ ლუკაის ფრიად დამახასიათებელი სტატია „მრავალეროვნული ლიტერატურა და მისი პრობლემები“. სტატიაში ბევრი ადგილი აქვს დათმობილი ამა წლის იანვარში მოსკოვში ჩატარებულ ჩვენს მეცნიერულ სესიას, რომელიც ეროვნულ ლიტერატურათა ურთიერთობის საკითხებს მიეძღვნა, და გ. ლომიძის წიგნს „ერთიანობა და მრავალფეროვნება“. ამ და ბევრი ასეთი ნაშრომის ტენდენციური პათოსია მისწრაფება ჩვენი მოძმე ლიტერატურების განკერძოებისაკენ, იმის ცდებიც კი, რომ გორკისადმი მთელი ხალხის სიყვარული წარმოადგინონ რაღაც ხელოვნურად შექმნილ კულტად.

გორკიმ თავის მოთხრობა „მაკარ ჩუდრას“ უწოდა პირველი, გაუბედავი ნაბიჯი თავის ლიტერატურულ გზაზე. მაგრამ ისტორიულად ეს მოთხრობა მოასწავებდა უდიდესი გარდატეხის ზღვარს, იგი მსოფლიო ლიტერატურის განვითარებაში ახალი ეტაპის მაუწყებელი გახდა. მასთან დაკავშირებულია გამოჩენა სიტყვის შესანიშნავი ოსტატისა, რითაც აღიბეჭდა ის, რომ იშვა ახალი სოციალისტური ერა.

გორკის შემოქმედებამ მკითხველისათვის გადაშალა ფასდაუდებელი სახეების სულ ახალი ორიგინალური სამყარო. ეს სამყარო მრავალმხრივი და თვალუწვდენია, მაგრამ მისი დასაწყისია გორკის პირველი პატარა მოთხრობა. მან შეგვყავართ იმ ხასიათებისა და პრობლემების წრეში, რომლებიც ახალმა რევოლუციური ძალების მოძრაობამ, ხალხის თვითშეგნების ზრდამ წამოაყენა.

გორკის პირველი ნაწარმოები დაწერილია პოეტური ლეგენდის სახით, იგი მოსილია ახალგაზრდა, თვით ცხოვრებასავით ბობოქარი რომანტიკის სუნთქვით. მისი ნათელი მგზნებარე ჰუმანისტური რომანტიკა ბუნებრივად, ხილულად შეხამებულია იმასთან, თუ როგორ აღიქვამდა მწერალი თავის გარშემო მყოფ ადამიანებსა და ბუნებას, როგორც იგი ამბობს, „საყვარელი ქართველი ხალხის, პოეტი ხალხის, რომანტიკოსი ხალხის“ მთელ ამაღლებულ სულისკვეთებას.

გორკის პირველი ნაწარმოების რომანტიკის რეალური ცხოვრებისეული საფუძველი ძირეულად უარყოფს მთელი რიგი თანამედროვე უცხოელი მკვლევარების მისწრაფებას — მონახონ მისი წყაროები გამოგონილ ტენდენციურ კონფლიქტებში, წარმოადგინონ მწერალი საკუთარ წინააღმდეგობებში გაბმულ, კომპრომისისადმი მიდრეკილების მქონე ადამიანად. მაგალითად, ცნობილი ანტირევოლუციური იდეოლოგის რიჩარდ ჰეირის წიგნს „მაქსიმ გორკი“, რომელიც წელს გამოვიდა ინგლისში, აქვს დამახასიათებელი ქვესათაური „რომანტიკული რეალისტი და კონსერვატიული რევოლუციონერი“. ამ სიტყვებით გარკვეულია წიგნის კონცეპციის საერთო მიზანდასახულობა. წიგნის ავტორს გორკის რომანტიკის პათოსად მიაჩნია მის ნამდვილ მისწრაფებათა შეუთანხმებლობა ცხოვრების რეალურ მოძრაობასთან, მწერლის იდეალის შეუთანხმებლობა სინამდვილის არსებულ სახესთან და რევოლუციურ ტენდენციებთან.

„გორკის პირდაპირი მიმართვა დიადი სიცრუისადმი, — ამტკიცებს ავტორი,— რაც დამახასიათებელი იყო მისი ხანდაზმულობის ასაკისათვის, ახალი ვარიანტი იყო მისი ადრინდელი შეხედულებებისა, რომლებიც გამოხატულია პიესაში „ფსკერზე“: ადამიანი სიცრუით უნდა ცხოვრობდეს, სიმართლესა და მონაგონს შორის ძნელია მონახოს საზღვარი“.

ასეთი ხერხით დიდ მწერალს აქცევენ ცხოვრებისადმი ორჭოფული, წინააღმდეგობრივი დამოკიდებულების მომხრედ, გარემოებათა უღელთან შერიგების მიდრეკილების მქონედ.

მართალია, ადრინდელი გორკის, მისი პირველი მოთხრობის რომანტიკა გადმოგვცემს ყოფის მკაცრ კონფლიქტებს, რომლებიც ალეგორიული ფორმით გამოხატავენ ავტორის რევოლუციური მხატვრული მსოფლგაგების განვითარების წინააღმდეგობებს. მაგრამ ეს არის რომანტიკა ბრძოლისა. პიროვნების გაბედული აჯანყებისა საზოგადოებისა და ბუნებაში მჩაგვრელი ძალების წინააღმდეგ. გმირთა მისწრაფება ბედნიერებისაკენ გადმოცემულია თავისუფლებისა და სიყვარულის ტრაგიკული კონფლიქტით. და სიყვარულის უძლეველი გრძნობის ყოვლისმძლე ძალაც ვერ აიძულებს ლეგენდის გმირებს იყონ მორჩილნი, თუნდაც ერთმანეთის მიმართ.

ჭეშმარიტების საწინააღმდეგო იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს გორკიმ პირველ ნაწარმოებში ჰპოვა პასუხი ცხოვრების წყეულ საკითხებზე, გახსნა სინამდვილის მთელი უცნაური წინააღმდეგობანი და სირთულე. მაგრამ გორკის უკვე ამ პირველ მოთხრობაში გაირკვა ბევრი ძირითადი შემოქმედებითი პრობლემა, რომლებიც მთელ სიცოცხლეში აღელვებდნენ მწერალს. „მაკარ ჩუდრადან“ გორკის შემოქმედებაში მოდის მკაფიოდ დასახული ხაზი შესანიშნავი პოეტური ეტიუდისაკენ „ადამიანი“, რომლის პათოსი განსაკუთრებით მაღლდება ადამიანის სულის, ნებისყოფისა და გონების გიგანტურ გამარჯვებათა ჩვენს ეპოქასთან, ატომისა და კოსმოსის დაპყრობის ეპოქასთან. ადამიანის ძნელი, მაგრამ მძლეველი აღმასვლის თემა, რომელიც პირველად დააყენა სოციალისტურ ლიტერატურაში გორკიმ, ჩვენს დროში მთავარი, ყოვლისმომცველი და ყოვლისგანმსაზღვრელი გახდა თანამედროვეობის მთელ პროგრესულ ხელოვნებაში.

განსაკუთრებით დიდ ყურადღებას საბჭოთა ლიტერატურის პირველი დღეებიდან ადამიანის გამოსახვის პრობლემისადმი ღრმა პრინციპული აქტუალური აზრი ჰქონდა და აქვს. ამ საკითხის გადაჭრის ხასიათი განსაზღვრავდა მთელი ახალი რევოლუციური ხელოვნების განვითარების მთავარ გზას, მის ძირითად შემოქმედებით პრინციპს.

ხელოვნების კაცთმოყვარეობითი ბუნების აღიარება სოციალისტური ესთეთიკის ერთ-ერთი ქვაკუთხედი დებულებაა, რომელიც მიჯნავს მას ყოველგვარი ვულგარული და „დეჰუმანიზატორული“ შეხედულებებისაგან. ახლა დეკადენტური ხელოვნების რღვევის ყველაზე დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ იგი დემონსტრაციულად იღებს ხელს ადამიანზე.

როგორც ცნობილია, ახლაც ხელოვნებიდან ადამიანის გაქრობა, მისი შეცვლა განყენებულ ცნებათა სისტემით ან მისტიფიცირებული სუბიექტურობის ბატონობით ბევრ თეორეტიკოსს ჩვენი დროის გარდუვალ კანონზომიერებად მიაჩნია. მრავალ წიგნსა და სტატიაში ხელოვნებიდან ადამიანის გაძევება გამოცხადებულია თანამედროვეობის უპირველეს ნიშნად. ასეთი შეხედულების მიხედვით წარსულის კლასიკური ხელოვნება გამოცხადებულია არქაულ ხელოვნებად, რომელმაც ჩვენს დროში თავისი ქმედითობა დაკარგა. ხელოვნებამ ახლა უნდა უკუაგდოს ყველა ძველი საზომი, დაანგრიოს წარსულთან შემაერთებელი ყველა ხიდი, სამუდამოდ აიღოს ხელი ადამიანზე როგორც ხელოვნების ცენტრზე, გმირის ბედი იქნება ეს, ისტორიული და ზნეობრივი არსი თუ ფსიქოლოგია.

ნამდვილად კი ადამიანის გაქრობა სრულებითაც არ არის უნივერსალური კანონზომიერება, არამედ ბურჟუაზიული ხელოვნების მძიმე დაავადება, მისი კრიზისის გამოვლინებაა. რამდენადაც ეს ხელოვნება ზურგს აქცევს ადამიანებს, იმდენად იგი ხელოვნება აღარ არის.

მოთხრობა „მაკარ ჩუდრადან“ მკაფიოდ იწყება თავი გორკის შემოქმედების დამახასიათებელმა ორგანულმა შეკავშირებულობამ, კრიტიკული და დამამკვიდრებელი საწყისის განუყოფელობამ, რაც დამახასიათებელია თანამედროვეობის მთელი რევოლუციური ხელოვნებისათვის — ექსპლოატატორული ყოფის უარყოფის თანმიმდევრულობამ და სოციალიზმის დამკვიდრების შთაგონებულმა ძალამ. მ. გორკის მხატვრული და მთელი შემდგომი სოციალისტური, უწინარეს ყოვლისა საბჭოთა ხელოვნების მხატვრული გამოცდილების მიხედვით ყველაზე დამაჯერებლად წყდება ეგრეთწოდებული დადებითი და კრიტიკული საწყისების პრობლემა, ცხადი ხდება მათი ყოველგვარი ცალმხრივი გამიჯვნისა და დაპირისპირების უსაფუძვლობა. ჩვენს დროში, როცა სამყარო გათიშულია ორ დაპირისპირებულ ბანაკად, ყველაზე თვალსაჩინოდ ჩანს შეუძლებლობა, ილუზორულობა რამე ჰუმანისტური იდეალისა, თუ იგი იდეური უსახურობისა და ინერტულობის გზაზე დგას, მხატვრულად არ უარყოფს ბოროტებას და რწმენით გამსჭვალული არ იცავს სიკეთეს.

გორკის პირველი ნაწარმოების შინაარსი მთელი რიგი სხვა მხარეებითაც მომართულია ჩვენი დროისაკენ, არსებითია, რომ მასში იმ წლებში დიდი ძალით აისახა იმ პროცესის დასაწყისი, რომელიც ზღვრულად გამოირკვა ჩვენს დროში,— პროცესი მსოფლიო ხელოვნების გამიჯვნისა ისეთ პოლუსურ დაპირისპირებად, როგორიცაა არის სოციალიზმის ხელოვნება, ხელოვნება მასებისათვის, და ხელოვნება დეკადენტური, ხელოვნება რჩეულთათვის.

ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში მ. გორკის მოთხრობა გახდა რევოლუციური ხელოვნების ერთ-ერთი პირველი საპროგრამო ნაწარმოები, პოლემიკურად მიმართული რუსული დეკადენტობის პირველი დეკლარაციების წინააღმდეგ. თვით ცხოვრებამ გამოიწვია სულიერი რეაქციისადმი დაპირისპირებული რევოლუციური შემოქმედება მაქსიმ გორკისა.

ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ ჩვენს დროშიც და წარსულშიც ესოდენი გაბოროტებით სდევნიდნენ გორკის ყველა დეკადენტური მიმდინარეობის წარმომადგენლები, მსოფლიო ხელოვნების გამიჯვნამ, რაც განსაკუთრებით დაიწყო გასული საუკუნის ბოლოს, უმაღლეთო, ზღვრულ სიმწვავეს მიაღწია, და გორკის მთელი ესთეტიკური და მხატვრული მემკვიდრეობა, „მაკარ ჩუდრათი“ დაწყებული, წარმოადგენს მძლავრ იარაღს ჩვენს ბრძოლაში სოციალიზმის მხატვრული კულტურის ფუძემდებელი შემოქმედებითი პრინციპებისათვის.

ცხოვრებისეულმა შუქმა გორკის მთელი გიგანტური შემოქმედებისა, რომელიც ოთხ ათეულ წელზე მეტ ხანს გრძელდებოდა, ვერ ჩრდილავს ჩვენთვის ამ პირველი მოთხრობის თავდაპირველ, შედარებით მოკრძალებულ ბრწყინვას. რაც უფრო წინ მიდის ისტორია, მით უფრო რელიეფურად და სრულად წარმოსდგება გორკის მემკვიდრეობისა და ტრადიციების უკვდავი აქტუალური მნიშვნელობა. ამის თქმა განსაკუთრებით საჭიროა, ვინაიდან უკანასკნელ წლებში საზღვარგარეთ და ჩვენშიც ჩნდება თანამედროვე ხელოვნების განვითარების მთელი რიგი კონცეპციები, წარმოდგენები მხატვრულ ნოვატორობაზე, რომლებიც არ ითვალისწინებენ გორკის მემკვიდრეობის ცოცხალ აქტუალურ მნიშვნელობას. ათობით წიგნსა და ასობით სტატიაში მაღლით ავითარებენ წარმოდგენებს გორკიზე, როგორც მწერალზე, რომელიც გასულ საუკუნეში დარჩა, კრიტიკული რეალიზმის განვითარებას ამთავრებს, მის ისტორიას ხურავს. ასეთი კონცეპციები მიჯნავენ გორკის თანამედროვეობის მხატვრული ძიებისაგან. ჩვენს კრიტიკაშიც ზოგჯერ გვხვდება გამოსვლები, რომლებიც ჩვენი დროის მხატვრულ ნოვატორობას ხედავენ კამიუში, სარტრში, [illegible], ბევრ სხვა მსგავს ავტორში, ოღონდ არა გორკიში. სამწუხაროდ, გორკის ტრადიციების პრობლემა ჯერ სულაც არ გაისმის ახალგაზრდა მწერალთა თაობისათვის აქამდე მიმდინარე მზადების პროცესში.

ლიტერატურის რეალური განვითარება უცილობლად გვიჩვენებს, რომ უსაფუძვლოა XX საუკუნის ხელოვნების, უწინარეს ყოვლისა საბჭოთა ხელოვნების რაიმე კონცეპცია, თუ არ გავითვალისწინებთ გორკის მემკვიდრეობას, თუ არ გავიგებთ მის უდიდეს ნოვატორულ შინაარსს.

მაგალითად, თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურაში ჰუმანიზმის შესახებ ამასწინანდელი დისკუსიის მსვლელობამ პირველ პლანზე დააყენა გორკის პრობლემა, პრობლემა მისი ადგილისა ჩვენი საუკუნის მთელი პროგრესული ხელოვნების განვითარებაში.

გორკის პირველი მოთხრობისა და მთელ რიგ სხვა მხატვრულ და პუბლიცისტურ ნაწარმოებთა შინაარსი წარმოგვიდგება როგორც ერთ-ერთი მშვენიერი სახე, შეიძლება ითქვას, ისტორიული დოკუმენტიც რუსი ხალხისა და ქართველი ხალხის კულტურული მეგობრული კავშირის სიმტკიცის, ქმედითობისა და ნაყოფიერებისა. შემდეგში თავის წერილში „კავკასიის მოვლენების შესახებ“ მწერალი მხურვალედ ლაპარაკობდა თავის სიყვარულზე „მშვენიერი ქვეყნისადმი“ — საქართველოსადმი აღელვებულად გამოთქვამდა თავის ძმურ გრძნობას: „ესოდენ მხურვალედ მიყვარს ეს მშვენიერი ქვეყანა, გრანდიოზული სილამაზისა და ძალის განსახიერება, მისი თოვლიანი მთები, დაბლობები და ხეობები, ბობოქარ მდინარეთა მხიარული ხმაურით აღსავსენი, მისი ლამაზი ამაყი შვილები“. ხალხთა მეგობრობა, კავშირი, რაც ესოდენ მაღლა დააყენა გასული საუკუნის ბოლოს გორკიმ, ჩვენს დროში არა მარტო უმაგალითოდ გაფართოვდა, არამედ ჩვენი ყოფის ატმოსფეროდ იქცა, რომელიც სუნთქავს და ვითარდება მთელი საბჭოთა ხელოვნება.

დაე კიდევ უფრო განმტკიცდეს ჩვენი ძველთაძველი ძმობა, ჩვენი განუყრელი მეგობრობა.

შეხვედრები, საუბრები, ლექციები

უკვე რამდენიმე დღეა თბილისში იმყოფებიან მოსკოველი სტუმრები — მაქსიმ გორკის მეუღლე ეკატერინე პეშკოვა და მ. გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს გაზეთ „კავკაზში“ გორკის პირველი მოთხრობის გამოქვეყნების 70 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სხდომაში.

თბილისის ღირსშესანიშნაობების დათვალიერებისა და გაცნობის შემდეგ სტუმრები იყვნენ საქართველოს ისტორიულ დედაქალაქ მცხეთაში.

მასპინძლების საყოველთაო სიყვარულითა და პატივისცემით არის გარემოსილი მაქსიმ გორკის მეუღლე ეკატერინე პეშკოვა.

მოსკოველი ლიტერატურათმცოდნეები ლექციების წასაკითხავად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიიწვიეს. მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგემ პროფესორმა რ. სამარინმა ლექცია წაიკითხა თანამედროვე საზღვარგარეთულ ლიტერატურაზე. ლექციას ესწრებოდნენ ფილოლოგიის და დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტების სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები.

ფილოლოგიის ფაკულტეტის რუსული სექტორის სტუდენტების და პროფესორ-მასწავლებლების წინაშე ლექციით გამოვიდა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი მ. ბიალიკი.

პროფესორი ე. ტაგერი უნივერსიტეტის რუსული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე მიიწვიეს. კათედრის წევრებისათვის და ასპირანტებისათვის მან წაიკითხა ლექცია მაქსიმ გორკის ცხოვრებისა და შემოქმედების დასაწყის პერიოდზე.

გუშინ მოსკოველი სტუმრები დაესწრნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომას.

ჩეხოსლოვაკია — საქართველო

სასწავლებლად რუსთაველ მეტალურგებთან

მილნამზადის ცეცხლით წმენდის მეთოდი, რაც ახალია მეტალურგიაში, პირველად რუსთაველმა სპეციალისტებმა აითვისეს. ეს ამბავი ფართოდ მოედო მთელ ჩვენს ქვეყანას, გასცდა მის საზღვრებსაც.

და აი ამ სიახლის გასაცნობად და ასათვისებლად რუსთავში ჩამოვიდნენ ჩეხოსლოვაკიელი მეტალურგები ქალაქ კუნჩიცის მეტალურგიული კომბინატის საგლინავი საამქროს უფროსის მოადგილე მ. მოჩკორი, გლინვის სპეციალისტები ზ. ვალიჩეკი, ბ. ბზილიკი, ს. რილიკი და ფ. გარინეკი.

რუსთავი — კუნჩიცი. ამ ორ მეტალურგიულ ქალაქს შორის კავშირი და მეგობრობა ჯერ კიდევ სამი წლის წინათ დამყარდა. ეს ასე მოხდა. ცნობილმა რუსთაველმა მეტალურგმა, ფურცლების გლინვის ოსტატმა ნ. კურატაშვილმა მიიღო კუნჩიცელი მეტალურგის ვ. ვილეკის წერილი. ვილეკი კურატაშვილს სწერდა:

„ძვირფასო ნოდარ, მე გაზეთების საშუალებით შევიტყე, რომ ბრიგადამ, რომელსაც შენ ხელმძღვანელობ, ერთ-ერთმა პირველმა მოიხვეჭა კომუნისტური შრომის კოლექტივის საპატიო სახელი, სულითა და გულით გილოცავ ამ გამარჯვებას. სურვილი მაქვს ჩვენს ბრიგადებს შორის დამყარდეს მეგობრობა, ვისწავლოთ ერთმანეთისაგან შრომა, სწავლა, ცხოვრება“...

საპასუხო წერილში ქართველმა მეტალურგმა ფართოდ მოუთხრო ახალშეძენილ მეგობარს თავისი საქმიანობა, გამოცდილება და გულთბილი მადლობა უძღვნა მეგობრული წერილისათვის. ამის შემდეგ ქართველ და ჩეხოსლოვაკიელ მეგობრებს შორის სისტემატურად წარმოებს მიმოწერა.

როცა ნ. კურატაშვილმა რუსთავში ჩეხოსლოვაკიელი მეტალურგების ჩამოსვლა შეიტყო, მივიდა მათთან და ვ. ვილეკის ამბავი გამოჰკითხა.

— ვილეკმა შენთან დიდი მოკითხვა დაგვაბარა, — უთხრეს კურატაშვილს სტუმრებმა.

და განა მარტო ნ. კურატაშვილი გაეცნო ჩეხოსლოვაკიიდან ჩამოსულ სტუმრებს? მათ აქ მრავალი მეგობარი შეიძინეს. რუსთაველ მეტალურგებთან საუბარში ჩეხოსლოვაკიელმა კოლეგებმა აღნიშნეს რომ გასულ წელს აქ 25 ჩეხი გადიოდა საწარმოო პრაქტიკას. ისინი ახლა ჩინებულად მუშაობენ და სხვებსაც გადასცემენ თავიანთ გამოცდილებას.

ჩვენ ვესაუბრეთ დელეგაციის წევრებს. ისინი დიდად კმაყოფილი არიან საქართველოში ჩამოსვლით. მეტალურგიულმა ქარხანამ მათზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა.

— საქართველოსა და მისი ხალხის შესახებ ჩვენ ბევრი რამ გვსმენია, — გვეუბნება დელეგაციის ხელმძღვანელი მოჩკორი, — ვიცოდით, რომ საქართველო ლამაზი ქვეყანაა, ხალხი კი შრომისმოყვარე, მაგრამ როცა ყოველივე ეს ჩვენი თვალით ვნახეთ, წარმოდგენა კიდევ უფრო განვიმტკიცეთ. სამშობლოში დაბრუნებისას გადავცემთ ჩვენს ხალხს თქვენი თავაზიანობისა და სტუმართმოყვარეობის ამბავს. (ჩვენი საკ. კორ.).

„მოსკვიჩი“ 30 კაპიკად

თბილისისა და რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების შემნახველმა სალაროებმა დაიწყეს საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების ლატარიის 1962 წლის მე-3 გამოშვების მოგებათა გაცემა.

კომპოზიტორმა ოთარ ხუციშვილმა თბილისის ოქტომბრის რაიონის ცენტრალურ შემნახველ სალაროში წარადგინა ლატარიის ბილეთი, რომელმაც „მოსკვიჩი“ მოიგო, კალინინის რაიონის ცენტრალურ შემნახველ სალაროში მოქალაქე უ. ომიაძემ მოიტანა ბილეთი, რომელმაც მოიგო „მოსკვიჩი“. „მოსკვიჩი“ მოიგო აგრეთვე პარიკმახერმა მკრტჩ ავაქოვმა. სამივე „მოსკვიჩი“ გუშინ გადაეცა „იღბლიანი“ ბილეთების მფლობელთ.

ა. შტეინბერგი.

ახალი ამბები

მოსკოვში, გასტროლებზე

იტალიიდან დაბრუნების შემდეგ საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს ნოდარ ანდღულაძეს ჯერ არ უმღერია მოსკოვში. 1 ოქტომბერს მუსიკის მოყვარულები მას მოუსმენენ ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში დიდი თეატრის სოლისტ ლარისა ნიკიტინასთან ერთად. ლარისა ნიკიტინას გამოსვლას დაეთმობა კონცერტის პირველი განყოფილება. შემდეგ ნოდარ ანდღულაძე შეასრულებს ჰაიზიელის „არიეტას“, ბრამსის „დილას“, რიჰარდ შტრაუსის „ერთხელ მაისში“, გრიგის „კეთილ რჩევას“, მშველიძის „ოროველას“, პუჩინის ორ არიას, დე გრიეს სიმღერას „მანონ ლესკოდან“, ჯონსონის არიას ოპერიდან „ქალიშვილი დასავლეთიდან“, მანრიკოს არიას ვერდის „ტრუბადურიდან“.

ლ. ნიკიტინა და ნ. ანდღულაძე შეასრულებენ დუეტს ვერდის ოპერა „აიდადან“. (ჩვენი საკ. კორ.).

მოკლედ

ჭიათურა. (საკ. კორ.). მარგანეცის ქალაქში ბევრს ახსოვს ნიჭიერი მათემატიკოსის, საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის ტ. ტყემალაძის პედაგოგიურ-საზოგადოებრივი მოღვაწეობა. ჯერ კიდევ ომამდე იგი დედაქალაქში გადავიდა სამუშაოდ და დაუღალავად, უმწიკვლოდ ემსახურება საყვარელ საქმეს.

დამსახურებული მასწავლებელი ამას წინათ მშობლიურ ქალაქ ჭიათურას ესტუმრა. მან ინახულა სკოლა-ინტერნატი, გაეცნო მის საქმიანობას და კვლავ თბილისში დაბრუნდა.

ამ დღეებში სკოლა-ინტერნატის ბიბლიოთეკამ ტ. ტყემალაძისაგან მიიღო ძვირფასი საჩუქარი — 420 ცალი სახელმძღვანელო და სხვადასხვა პოლიტიკური ლიტერატურა ქართულ და რუსულ ენებზე.

□ გორი. (საკ. კორ.). გორის გ. ერისთავის სახელობის სახელმწიფო თეატრმა ახალი სეზონი გახსნა ლესინგის ტრაგედია „ემილია გალოტით“, რომლის დადგმა განახორციელა თეატრის მთავარმა რეჟისორმა გ. აბრამაშვილმა. მხატვრობა ეკუთვნის მხატვარ შ. ხეციშვილს.

ლენტეხი. (საკ. კორ.). ილიჩის ნათურები სულ უფრო და უფრო ღრმად იჭრება სვანეთის მთებში. წელს ელექტროფიცირებულ იქნა მაღალმთიანი სოფელი ლასკადურა. ამ დღეებში ლაჯანურჰესიდან ელექტროშუქი მიიღო სოფელმა ხოფურმა.

ახლა საელექტროფიკაციო სამუშაოები მიმდინარეობს რაიონის ოთხ სოფელში.

მზე და ღიმილი

შაქრის ლერწმის პლანტაციებში გაზრდილ ჭაბუკებს გუშინ შაშხანა ეჭირათ ხელში და მშობლიურ კუბას იცავდნენ. მერე გადმოლახეს ოკეანე, განვლეს გრძედები და მერიდიანები, რომ საქართველოში დაუფლებოდნენ სოფლის ტექნიკას. სწავლის დამთავრების შემდეგ კუბაში დაბრუნდებიან, ცალ ხელში შაშხანას დაიჭერენ, მეორეში გუთანს, სანამ არ გამოჭედენ ყველა მახვილისაგან კავს.

გუშინ ისინი რთველში ეწვივნენ სამგორელ მევენახეებს. საქართველოს ცის ქვეშ თავს ისე გრძნობენ, როგორც მშობლიურ კუბაში..

ფოტო ი. დავითაშვილისა.

ორას ათასზე მეტმა ექსკურსანტმა ინახულა წელს სოხუმის ბოტანიკური ბაღი.

სურათზე: ექსკურსანტების ჯგუფი სოხუმის ბოტანიკურ ბაღში.

ფოტო ი. ჭოხონელიძისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

მესხეთის ბაღებში

არალი ერთ-ერთი უძველესი სოფელია მესხეთში. აქაური მშრომელები თავდადებულად იბრძვიან სოფლის მეურნეობის მამაპაპური დარგის — მეხილეობის აღდგენა - განვითარებისათვის.

არალელთა ბაღებს ამჟამად 110 ჰექტარი ფართობი უჭირავს. აქედან მსხმოიარეა 35 ჰექტარი. მეხილეები წელს ჰექტარზე 100 ცენტნერი მოსავლის მიღებას ვარაუდობენ.

დაიწყო საადრეო ვაშლის ჯიშების — ზამთრის ოქროს, პარმენის, ხობას, ბოსტნის ვაშლის, სინაპის კრეფა. მებაღეობის ბრიგადებმა, რომლებსაც კომუნისტი ს. აფრიამაშვილი და კომკავშირელი ლ. ჩილინგარაშვილი ხელმძღვანელობენ, უკვე მოკრიფეს 20 ტონა ვაშლი.

კრივი უცხოეთში

გამარჯვება ლისტონისა

რეკლამები, დოლარები, პრესა, რადიო, ტელევიზია — ყველაფერი მობილიზებული იყო, აჟიოტაჟი უმაღლეს წერტილამდე ავიდა. ხუმრობა ხომ არ არის, ერთმანეთს ხვდებოდნენ მძიმე წონის პროფესიონალი მოკრივეები: მსოფლიოს ჩემპიონი ფლოიდ პატერსონი და ამ წოდების პრეტენდენტი სონი (ჩარლზ) ლისტონი.

და აი 25 სექტემბერს, ჩიკაგოში, კომიკსის პარკში, რინგზე ერთმანეთის პირისპირ იდგნენ პატერსონი და ლისტონი.

როგორც მიმომხილველები მოელოდნენ, მატჩი ლისტონს უნდა მოეგო, რომელიც 97 კილოგრამს იწონის და მეტოქეზე 11 კილოგრამით უფრო მძიმეა. ვერ ამეს, ასეთი აზრისა იყვნენ ყოფილი მსოფლიო ჩემპიონები როკი მარჩიანო და ჯო უილკოტი.

ასეც მოხდა. უკვე მატჩის პირველივე წუთზე მსოფლიოს ჩემპიონი ნოკდაუნში აღმოჩნდა. შემდეგ მან გააგრძელა წინააღმდეგობა, მაგრამ მეორე წუთსა და 10 წამზე ნოკაუტში იქნა გაგზავნილი.

ამგვარად — მსოფლიო ჩემპიონი მძიმე წონაში, პროფესიონალ მოკრივეთა შორის გახდა 28 წლის სონი ლისტონი. ახალი ჩემპიონი წინათ პროფესიონალი ბანდიტი იყო. იგი 19-ჯერ არის გასამართლებული და თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი ციხეში გაატარა, სადაც შეისწავლა [illegible].

როგორც უცხოეთის პრესა აღნიშნავს, საერთო შემოსავალი ამ მატჩიდან 4 მილიონ დოლარს [illegible] კანადაში 25 [illegible] ტელევიზიით აწარმოებდა მატჩის სპეციალურ გადაცემას.

პატერსონმა მატჩისათვის ჰონორარის სახით მიიღო 1 მილიონ 400 ათასი დოლარი, რაც თავისებური მსოფლიო რეკორდია. მისგან განსხვავებით ლისტონმა მიიღო 400 ათასი დოლარი.

პატერსონი უფლებას ინარჩუნებს უახლოესი ერთი წლის მანძილზე მატჩ-რევანშში გამოიწვიოს ლისტონი.

საქართველოს პირველობაზე

ქუთაისში დამთავრდა საქართველოს პირველობა კალათბურთში ქალთა გუნდებს შორის.

შეჯიბრება დაუმარცხებლად ჩაატარა და ჩემპიონის წოდება მოიპოვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქალთა ნაკრებმა გუნდმა. მეორე ადგილზე არიან სოხუმელები, მესამეზე — ქუთაისის ნაკრები.

თბილისის თასზე

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში დაიწყო სსრ კავშირის უძლიერესი გუნდების ტურნირი ხელბურთში (7×7) ქ. თბილისის თასზე. ტურნირში მონაწილეობენ: ბაქოს „დინამოს“, მოსკოვის „ტრუდის“, მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლისა და თბილისის „ბურევესტნიკის“ ვაჟთა გუნდები.

შეჯიბრების პირველ დღეს ბაქოს „დინამომ“ ანგარიშით 15:13 დაამარცხა მოსკოვის „ტრუდი“. საბჭოთა კავშირის ჩემპიონის თბილისის „ბურევესტნიკის“ და უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის ხელბურთელთა შეხვედრა დაძაბულად და საინტერესოდ მიმდინარეობდა. ვერც ერთმა გუნდმა ვერ შეძლო უპირატესობის მოპოვება და მატჩი ფრედ 16:16 დამთავრდა.

კომუნისტის სპორტი

წინ ბრძოლის ასპარეზია

ი. ავერბახი,
საერთაშორისო გროსმაისტერი.

ამ კვირის მანძილზე მკვეთრად გადიდდა რიცხვი დეპეშებისა, რომლებიც ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში მოდის. ნონა გაფრინდაშვილის მრავალი გულშემატკივარი ჩქარობს მიულოცოს მას ბრწყინვალე სტარტი, უსურვოს შემდგომი წარმატება. მართლაც, ახალგაზრდა ქართველი მოჭადრაკის თამაში სტარტზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. აფასებდნენ რა შესაძლო შედეგებს, მსოფლიოს ჩემპიონის გულშემატკივრები მატჩის დაწყებამდე ამბობდნენ:

— რა თქმა უნდა, ნონა ძალიან ძლიერია მწვავე თამაშში, კომბინაციურ გართულებებში. მაგრამ აი ბოტვინიკ-ტალის მატჩ-რევანშმა ცხადყო, რომ უნარიანი სატურნირო ტაქტიკით, ბრძოლის მანერის სწორი შერჩევით შეიძლება თავს მოახვიო მოწინააღმდეგეს ისეთი პოზიციები, რომლებშიც მისთვის ძნელი იქნება კომბინაციური ნიჭის გამოჩენა. ბიკოვა კი ძალიან გამოცდილი მოჭადრაკეა, რომელსაც ქალთა უმნიშვნელოვანეს ტურნირებში გამოსვლის უდიდესი სტაჟი აქვს და უთამაშნია სამი მატჩი მსოფლიოს პირველობაზე.

ამ თვალსაზრისით სასარგებლოა გადავხედოთ პირველ ოთხ პარტიას.

პირველ პარტიაში მსოფლიოს ჩემპიონმა, რომელიც თეთრებით თამაშობდა, მშვიდად გაითამაშა დებიუტი და პოზიციურ, მანევრულ თამაშს ესწრაფვოდა. და უცებ, როგორც ქუხილი მოწმენდილ ცაზე, გაისმა გაფრინდაშვილის მიერ წამოწყებული მოულოდნელი კომბინაცია მხედრის დროებითი შეწირვით. ჭადრაკის ოსტატმა ბევრმა მამაკაცმა, რომლებიც თამაშს ესწრებოდნენ და, რა დასამალავია, ჯერ კიდევ სკეპტიკურად ეკიდებიან მოჭადრაკე ქალებს, ძებნა დაუწყეს კომბინაციის ნაკლს, მაგრამ ამაოდ. კომბინაცია სწორი აღმოჩნდა. კომბინაციურმა დარტყმამ იმოქმედა მსოფლიოს ჩემპიონზე, მან დაკარგა მცირე უპირატესობა, წავიდა ლაზიერის გაცვლაზე და პარტია თანაბარ ენდშპილში გადავიდა. თავისი მოწინააღმდეგის ოდნავ უზუსტობათა გამოყენებით, რომელთა აწონა მხოლოდ სააფთიაქო სასწორზე თუ შეიძლება, გაფრინდაშვილმა პარტიის გადადების მომენტისათვის უკეთეს დამთავრებას მიაღწია. მაგრამ როცა გადადებული პარტიის დამთავრება დაიწყო და კონვერტი გახსნეს, აღმოჩნდა, რომ ნონას ჩაეწერა არც თუ საუკეთესო სვლა და მან ერთბაშად დაკარგა ყველაფერი, რაც ესოდენი შრომით მოიპოვა პირველ დღეს. შედეგი იყო ყაიმი.

ასეთი საწყენი ფინალი ვისაც გნებავთ აუშლიდა ნერვებს, მაგრამ ახალგაზრდა პრეტენდენტს ნერვები მაგარი აქვს. მეორე პარტიაში მან გამარჯვებისადმი დიდი მისწრაფება გამოიჩინა. მსოფლიოს ჩემპიონმა გადაწყვიტა ამ შეხვედრაში გაემართა ბრძოლა სიცილიური დაცვის „უღრან ტევრში“. პრეტენდენტმა გამოწვევა მიიღო, და დაფაზე დიდი გართულებები დაიწყო. როცა ლაზიერები გაცვალეს, ბიკოვას ეგონა საფრთხემ ჩაიარაო და თავისი მეფით დაფის ცენტრისაკენ გაეშურა. ეს შეცდომა იყო. შავი მეფის გზაზე მყის გაიშალა საშამათო ქსელი. მეფე მახეში აღმოჩნდა.

მესამე პარტიაში მსოფლიოს ჩემპიონი თეთრებით თამაშობდა და ისეთი დებიუტი გაითამაშა, რომელიც შავებს თავიანთი ფიგურებისათვის ფართო ასპარეზის მიღებას არ ანებებს. დასაწყისში მას შეეძლო კმაყოფილი დარჩენილიყო თავისი პოზიციით. თეთრი ფიგურები კარგად იყო ცენტრში განლაგებული და, თუ შემთხვევა მოიტანდა, შეიძლებოდა მათი იერიშზე გადაყვანა შავების მეფის წინააღმდეგ. თეთრების ბანაკში მხოლოდ ერთი სუსტი პაიკი იყო, და სწორედ ამ პაიკის წინააღმდეგ დაიწყო თამაში პრეტენდენტმა. მსოფლიოს ჩემპიონს აქტიურად უნდა ეთამაშნა, მაგრამ მან დააყოვნა, და გაფრინდაშვილმა გონებამახვილური მანევრით შეძლო დაფის ცენტრში გადაეყვანა თავისი მხედარი და ხელთ ეგდო ინიციატივა. როცა შავებმა პაიკი მოიიგეს, მათი გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ ფინალი კიდევ უფრო სწრაფი აღმოჩნდა. ბიკოვამ ცაიტნოტში ვერ მოასწრო ყველა სვლის გაკეთება და დროს გადააცილა.

მეოთხე პარტიის მატჩს მსვლელობაში არავითარი ცვლილება არ შეუტანია. ე. ბიკოვამ ისევ თავის საყვარელ სიცილიურ დაცვას მიმართა, რომელსაც იგი მრავალი წლის განმავლობაში იყენებს. მსოფლიოს ჩემპიონი თავისი ტაქტიკის გამოყენებას ცდილობდა, რომელმაც მას პირველ ტურში წარმატება ვერ მოუტანა. დებიუტიდან გამოსვლისთანავე ე. ბიკოვამ შესთავაზა მეტოქეს ლაზიერების გაცვლა და ენდშპილში გადასვლა. ნ. გაფრინდაშვილი დათანხმდა ამაზე, რადგან მისი ფიგურების განლაგება ამ მომენტისათვის საუცხოო იყო. უნდა ითქვას, რომ პრეტენდენტი დაბოლოებებში დიდ ოსტატობას ამჟღავნებს. მან განახორციელა პაიკის წინსვლა ცენტრში და შავების განლაგებაში სუსტი უჯრები შექმნა. მიუხედავად იმისა, რომ მან ერთ მომენტში ვერ გამოიყენა პარტიის სწრაფად მოგების შესაძლებლობა, შემდეგ დიდი სიზუსტით თამაშობდა და დამსახურებულ გამარჯვებას მიაღწია.

ამრიგად, ოთხი პარტიის შემდეგ ანგარიში გახდა 3,5:0,5 გაფრინდაშვილის სასარგებლოდ. მან სერიოზული განაცხადი გააკეთა მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკე ქალის წოდებაზე. მაგრამ ზეიმი ჯერ კიდევ ნაადრევია. წინ დიდი დაძაბული ბრძოლაა. მსოფლიოს ჩემპიონს ხომ უკვე არაერთხელ დაუწყია წარუმატებლად ბრძოლა მატჩებში. სტარტზე მას წაუგია რუდენკოსთანაც და რუბცოვასთანაც, მაგრამ შედეგი ხომ მის სასარგებლოდ იყო. ახლა ნონამ ხელიდან არ უნდა გაუშვას უპირატესობა ანგარიშში და, თუ შესაძლებელია, კიდევაც განამტკიცოს იგი. შეძლებს ამას თუ ვერა, ახლო მომავალი გვიჩვენებს, ჯერჯერობით კი შეიძლება ითქვას, რომ ნონა გაფრინდაშვილი წარმატებით უტევს.

პარტია კვლავ გადაიდო

მოსკოვი, 28 სექტემბერი. (ტელეფონით). დღეს სსრ კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში გაიმართა ე. ბიკოვა-ნ. გაფრინდაშვილის მატჩის მე-5 პარტიის დამთავრება.

გადადებული პოზიციის შეფასება იოლი როდი იყო. მაგრამ მისმა დეტალურმა ანალიზმა ცხადყო, რომ ე. ბიკოვა ინარჩუნებდა ერთგვარ პოზიციურ უპირატესობას. როდესაც ცნობილი გახდა ნ. გაფრინდაშვილის მიერ ჩაწერილი სვლა, აღმოჩნდა, რომ ეს იყო ყველაზე ძლიერი გაგრძელება.

პარტიის შემდგომი ნაწილი მიმდინარეობდა მანევრულ ბრძოლაში, რასაც რეალური შედეგი არ მოჰყოლია. ე. ბიკოვა შეეცადა ლაზიერის ფრთაზე ჩაეგდო ხელში ინიციატივა, მაგრამ პრეტენდენტმა ზუსტი სვლებით უკუაგდო მისი ფიგურები.

ე. ბიკოვა როგორც ყოველთვის ცაიტნოტში აღმოჩნდა. 51-ე სვლაზე გაიცვალა კუ. ნ. გაფრინდაშვილმა ძალზე გაბედულად შეუტია, შესწირა პაიკი და ხელსაყრელ უჯრედზე გადაიყვანა თავისი ფიგურები.

ამ მომენტში ოსტატების ერთი ჯგუფი უპირატესობას მსოფლიო ჩემპიონს ანიჭებდა, მეორენი კი პირიქით — ნ. გაფრინდაშვილის მხარეზე იხრებოდნენ.

შემდეგი სვლებით ცხადი გახდა, რომ შავების მუქარების მოგერიება არც ისე იოლი საქმე იყო. ე. ბიკოვა ცაიტნოტის მიუხედავად კარგად თამაშობდა. მან მეტოქეს პაიკი დაუბრუნა და თამაში გადაიყვანა სავსებით თანაბარ დაბოლოებაში.

პარტია კვლავ გადაიდო. ნ. გაფრინდაშვილმა ჩაიწერა თავისი 90-ე სვლა.

ხვალ გაიმართება მატჩის მე-6 პარტია. თეთრებით თამაშობს ნ. გაფრინდაშვილი.

მეხუთე პარტიის დამთავრება მოხდება კვირას დილით.

თეთრები. თეთრებით თამაშობს **ე. ბიკოვა.** მფd2, მe3, პ-ბი: b4, f2.

შავები. შავებით თამაშობს **ნ. გაფრინდაშვილი.** მფe5, კd3, პ-ბი: a6 e4.

ლ. არონინი,
საერთაშორისო ოსტატი.



პრიზები გამარჯვებულებს

გუშინ, რესპუბლიკის საჭადრაკო კლუბში შედგა ბალტიისპირეთისა და საქართველოს მოჭადრაკეთა ტრადიციული ტურნირის საზეიმო დახურვა.

დახურვის დღეს შეჯამებულ იქნა ტურნირის შედეგები, აღინიშნული იყო შეჯიბრების ახალგაზრდა მონაწილეების — ვ. ჟურავლიოვისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტის თ. ლომაიას წარმატება, რომლებმაც შეასრულეს ოსტატის წოდებისათვის დაწესებული ნორმატივი (10 ქულა).

გამარჯვებულებს: ა. ბუსლაევს (საქართველო), ვ. ჟურავლიოვს (ლატვია), თ. ლომაიას (საქართველო) და ი. ნეის (ესტონეთი) გადაეცათ ქალაქ თბილისის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების საბჭოს პრეზიდიუმის დიპლომები და ჯილდოები. ხოლო შეჯიბრების ყველა მონაწილეს — სამახსოვრო სუვენირები.

რესპუბლიკური და საქალაქო გაზეთების სპეციალური ჯილდოები გადაეცათ: გაზეთ „კომუნისტისა“ — ვ. ჟურავლიოვს — ოსტატის ნორმატივის ყველაზე ადრე შესრულებისათვის, გაზეთ „ზარია ვოსტოკასი“ — ა. ბუსლაევს — ტურნირის დაუმარცხებლად ჩატარებისათვის, გაზეთ „თბილისისა“ — თ. ლომაიას — უკანასკნელ ხუთ ტურში საუკეთესო შედეგისათვის, გაზეთ „ვეჩერნი თბილისისა“ — ი. ნეის — შავებით საუკეთესო შედეგის მოპოვებისათვის.

ა. ფალავანდიშვილი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

• • •

სურათებზე: ტურნირის მონაწილენი — ვ. ჟურავლიოვი (მარცხნივ) და თ. ლომაია, რომლებმაც შეასრულეს ოსტატის წოდების ნორმატივი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

რემონტი თუ ჯვარცმა?!

სახლი შავი მუგუზალივით გამოიყურებოდა, ეზოდან კი ისე იყო შემურული, რომ შეხედვა შეგეზარებოდათ, სახურავში წყალი ჩამოდიოდა. სახლის მცხოვრებლებმა ითათბირეს, იკამათეს და გადაწყვიტეს ეთხოვნათ საბინაო სამმართველოსათვის, რომ თბილისში რუსთაველის პროსპექტზე მდებარე № 23 სახლი კაპიტალურად შეეკეთებინა...

ამის შემდეგ თბილისის თავზე ბევრჯერ გადაიფრინეს კისერწაგრძელებულმა წეროებმა...

მაგრამ ჰოი, საოცრებავ! — ყოველთვის მოულოდნელად რომ გამოჩნდები ხოლმე, მარგარიტა სკრიპკინა, როგორც „ნინო საქართველოს“, ისე „მოევლინა“ რუსთაველის პროსპექტის № 23 სახლის მცხოვრებლებს, ოღონდ მას ხელში ვაზის ჯვრის ნაცვლად ფანქარი ეჭირა. მარგარიტამ ელვის სისწრაფით შემოირბინა სამივე სართულის ოთახები, დერეფნები, სამზარეულოები, სარდაფები. ხარჯთაღრიცხვისათვის მასალები ჩაიწერა. ეს ისე მოულოდნელად მოხდა, რომ მობინადრეებმა ვერც კი მოიფიქრეს, რა იყო შესაკეთებელი მათ ბინებში.

თბილისში მარტის მემკვიდრე აპრილი გამეფდა. ხის ტოტებზე კვირტები სკდებოდა, ყველაფერს სიცოცხლე ეტყობოდა. გამოცოცხლდნენ კალინინის რაიონის სარემონტო კანტორის თანამშრომლებიც. ისინი რუსთაველის პროსპექტზე მდებარე № 23 სახლს ესტუმრნენ.

— ნატო! მომილოცავს, ჩვენი სახლის კაპიტალურ შეკეთებას იწყებენ, — გასძახა სერგო ნასარიძემ. შემდეგ ჯულიეტა გიორგაძეს ახარა, ჯულიეტამ — ნინოს. ქვემოთ ვაჟა მეგრელიშვილმაც გაიგო ეს ამბავი და შემდეგ მთელ ეზოს მოედო დიდხანს ნალოდინევი სიხარული.

ეზოში მანქანებით საშენ მასალას ეზიდებოდნენ. ატყდა გამაყრუებელი რახრახი და ხმაური. არც თუ ადვილი მოსასმენი იყო, მაგრამ ამას ვინ ჩიოდა...

სახლს ხარაჩოები შემოაკრეს.

ქალებს გული აღარ უჩერდებოდათ შინ, საერთო აივანზე გამოსულიყვნენ. კაპიტალური შეკეთების ბედი აწუხებდათ.

სამუშაოთა მწარმოებელმა არშალუის კარაპეტიანმა პირველად ნატო ზედგინიძის ბინის შეკეთება განიზრახა.

ნატომ დიდი წვალებით ორივე ოთახის მოწყობილობა ერთი ოთახის კუთხეში მიაქუჩა. დურგლებმა თავისუფალ ოთახში მოხსნეს ლინოლიუმი და ფიცრები შემოყარეს. შემდეგ კარების გაკეთება დაიწყეს. გაუჭირდათ კარის ჩამოკიდება. თურმე ნუ იტყვით, ანჯამა უკუღმა დაეჭედებინათ. როგორც ხედავთ, არშალუისის „გვარდიის“ წევრები არც თუ ისე განსწავლული ყოფილან თავიანთ საქმეში.

მოვიდა ივნისის ცხელი დღეებიც. ელექტროხერხი კვლავ განაგრძობდა ხრიალს. ღრღნიდა ხის მორებს, ფიცრებს და ეზოში მცხოვრებთა გულს...

არშალუისი სულ არ უწევდა ანგარიშს, როგორ სრულდებოდა სამუშაოები, არც გაჭიანურებული რემონტით შეღონებული მობინადრეების ბედი აწუხებდა.

— რა გაკეთდა?

გაკეთდა ის, რომ კაპიტალური შეკეთების შემდეგ რუსთაველის პროსპექტის № 23 სახლის მცხოვრებლებმა დამცირებულად იგრძნეს თავი. კვლავ შეიკრიბნენ, ითათბირეს, იკამათეს და დაადგინეს:

— ეს კაპიტალური შეკეთება კი არა, კაპიტალური დამახინჯებაა.

— მე ჩემი ძველი იატაკი მერჩივნა.

— მე ძველი კედლები და კარები.

— ჩვენ მასხრად აგვიგდეს.

დაწერეს კოლექტიური საჩივარი და კალინინის რაიონის საბინაო სამმართველოში შეიტანეს.

მშენებლები ერთ სამუშაოს რომ მორჩებიან, მეორე ადგილზე გადაინაცვლებენ, მაგრამ გაკეთებული საქმე კი ადგილზე რჩება. მოგახსენებთ, რა დატოვა ა. კარაპეტიანმა და მისმა „გვარდიამ“ რუსთაველის პროსპექტზე № 23 სახლში.

დავიწყოთ სადარბაზოდან. თუმცა რატომ, ბარემ შენობის ფასადს შევხედოთ. კედლები ბუხარივით გამჭვარტლულია. საწვიმარი მილები ზოგან შავია, ზოგან ყავისფერი. ქვემოთ გამონგრეული კედლები ნაგვით გამოვსებულია. კედლებზე აქა-იქ არქიტექტურის ნაკვალევი დარჩენილა.

დავბრუნდეთ სადარბაზოში.

შესვლისთანავე თვალში გეცემათ გაჯით და კირით შეთხუპნული კედლები. გეგონებათ ზედ კვერი მოუტარებიათო.

სერგო ნასარიძემ შევებით ამოისუნთქა. კარი და გული ერთნაირად გაუღო დურგლებს.

— საიდან დავიწყოთ?

— დერეფნიდან აჯობებს, — სიხარულისაგან ათრთოლებული ხმით მიუგო სანდომიანი სახის კეთილმა მამაკაცმა. დაიწყეს, მაგრამ რა დაიწყეს...

მთელი ოჯახი გაწვალდა. გაჩენის დღეს იწყევლიდნენ. ბავშვებს სახლში აღარ უნდოდათ შესვლა.

სერგო ნასარიძე და მისი მეუღლე სახტად დარჩნენ, როდესაც შეხედეს „გვარდიელების“ მიერ დერეფანში დაგებულ იატაკს. მათ იმ წუთში მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ოთახებში ძველი იატაკი დაეტოვებინათ.

აშლილი ნერვები სერგოს და მისი ოჯახის წევრებს მღესავებმა „დაუმშვიდეს“. ისე გათხუპნეს კედლები ცემენტის ხსნარით, რომ გეგონებოდათ ბავშვებს ტალახით უთამაშიათო. ოთახიდან ოთახში გასასვლელი კარის გაკეთება ვერ მოახერხეს, რადგან კარები დაბრეცილი იყო და ერთიმეორეს არ მოერგო. გამოსაცვლელი დარჩა ნახევრად დამპალი ფანჯრის ჩარჩო. მინების ჩასმაზე ხომ სასტიკი უარი განაცხადა სამუშაოს მწარმოებელმა.

შევიხედოთ ნინო ალავერდაშვილის ოთახში. აქ დურგლებს იატაკი ისე დაუგიათ, რომ ნინო ხშირად ნატრულობს ძველ იატაკს, მაგრამ უკვე გვიან არის, ნინომ ვინ არ შეაწუხა რაიონში. შემოწმებაზეც მოვიდნენ. ნახეს, რომ ფიცარსა და ფიცარს შუა კაკალი თავისუფლად ჩავარდება. ყველა შეაშფოთა ამ ამბავმა. კალინინის რაიონის მთავარმა ინჟინერმა ბ. სოხაძემ მტკიცე დავალება მისცა ა. კარაპეტიანს იატაკის ხელმეორედ დაგების შესახებ, მაგრამ ამაოდ.

რატომ უნდა სჭირდებოდეს ერთხელ გაკეთებულს მეორედ გაკეთება? ვის ხარჯზე უნდა გაკეთდეს მეორედ? იქნებ არშალუისმა ამ „ბრწყინვალე“ მეთოდით უარი ათქმევინა სხვა მობინადრეებს იატაკის გამოცვლაზე?

მოუსმინეთ ვაჟა მეგრელიშვილს.

— რას ვიფიქრებდი, თუ კაპიტალურ შეკეთებაზე ასე ჯვარს ვეცმოდი კაცი. ვერ აგიწერთ იმ უსიამოვნებას, რაც მე განვიცადე არშალუის კარაპეტიანის „წყალობით“. ხან ტკბილი სიტყვა ვუთხარი, ხან კანონით მოვთხოვე, მაგრამ მასთან ვერაფერს გავხდი. ბოლოს იძულებული შევიქენ „დამესაჩუქრებინა“... გგონიათ ამან უშველა საქმეს? თქვენც არ მომიკვდეთ... სხვა გზა ველარ გამოვნახე, კერძო ხელოსნები დავიქირავე და დასვენებისათვის გადანახული ფული ჩემი ოთახის კაპიტალურ შეკეთებას მოვახმარე.

ასეთივე ბედი ეწია ჯულიეტა გიორგაძის ბინას. მან საკუთარი თანხით შეღება ოთახის კარები და ფანჯრები. იატაკის დაგებაზე კი უარი განაცხადა.

რუსთაველის პროსპექტზე მდებარე № 23 სახლში კაპიტალური შეკეთება ნატო ზედგენიძის ოთახიდან დაიწყო. მეექსე თვე იწურება, დღემდე იატაკიც არ არის დაგებული. კალინინის რაიონის სარემონტო კანტორის, საბინაო სამმართველოს „წყალობით“ ოდესღაც კოპწიად მოწყობილი ოთახები ფიცრის საწყობს დაემსგავსა. ჭერი ნახევრად არის შელესილი გაჯით და მიტოვებული.

ნატო ზედგენიძემ განცხადებით მიმართა კალინინის რაიონის საბინაო სამმართველოს, სარემონტო კანტორას, რაისაბჭოს აღმასკომს. ოთხჯერ იყო კომისია ნატო ზედგინიძის ოთახში, მაგრამ უშედეგოდ.

რატომ მიიყვანეს აქამდე საქმე კალინინის რაიონის საბინაო სამმართველოს უფროსმა დ. ჯაფარიძემ, მთავარმა ინჟინერმა ბ. სოხაძემ, სარემონტო კანტორის მთავარმა ინჟინერმა შ. ჟღენტმა. სად იყო სარემონტო კანტორის ტექნიკური ზედამხედველი? ამ ამხანაგებს ნატო ზედგინიძის ბედი რომ სწვეოდათ, რა მდგომარეობაში ჩავარდებოდნენ?

კალინინის რაისაბჭოს მუშაკები მხოლოდ იმით დაკმაყოფილდნენ, რომ 14 სექტემბერს აღმასკომზე სასტიკი საყვედური გამოუცხადეს არშალუის კარაპეტიანს სამუშაოების გაჭიანურებისა და შესრულებული სამუშაოს დაბალი ხარისხისათვის. ეს იყო და ეს. წყალში ჩაიყარა რუსთაველის პროსპექტზე მდებარე № 23 სახლის კაპიტალურ შეკეთებისათვის გამოყოფილი 18 ათასი მანეთი.

სამართლიანობა მოითხოვს ისიც აღვნიშნოთ, რომ სარემონტო კანტორები ცუდად მარაგდებიან მასალებით, მასალების ნაკლებობის გამო შეუწყნარებლად ჭიანურდება სახლების რემონტი. მაგრამ აქვე უნდა დავუმატოთ ისიც, რომ რასაც გვაძლევენ, ის დანიშნულებისამებრ უნდა გამოვიყენოთ და რასაც გავაკეთებთ, მას წუნი ვერ უნდა დასდონ.

ყველამ იცოდა, რომ იატაკის ფიცარი გამომშრალი არ იყო, მისი დაგება არ შეიძლებოდა, მაგრამ...

— ვიცოდი, რომ ამ ფიცრით იატაკის დაგება არ შეიძლებოდა, ისიც ვიცოდი, რომ ხელმეორედ გასაკეთებელი გამიხდებოდა, მაგრამ გეგმას ვერ ვასრულებდი... განაცხადა ა. კარაპეტიანმა.

ვის სჭირდება გეგმის ასე შესრულება?

ზ. ჯამასპიშვილი,
რ. ბასილაშვილი.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

რადიო

30 სექტემბერი

პირველი პროგრამით

06.45 — ქართული ხალხური სატრფიალო მელოდიები, 08.30 — ნაწყვეტები საბჭოთა კინოფილმებიდან, 09.15 — შოპენის მაზურკები, ვალსები, პოლონეზები, 10.15 — რადიოგაზეთ „საქართველოს პიონერის“ საკვირაო გამოშვება, 10.45 — ს. ცინცაძე. ქართული ფანტაზია, 11.30 — რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი“, 12.15 — მშობლიური ჰანგები, 12.45 — ა. ტარიბერდიევის სიმღერები, 13.30 — მუსიკალური რადიოვიქტორინა, 14.00 — რადიოჟურნალი „ნაკადული“, 14.45 — საუბარი: „ორგანიზებულად დავიწყოთ ახალი სასწავლო წელი პოლიტექნიკური განათლების ქსელში“, 15.00 — კონცერტი აზერბაიჯანისა და სომხეთის მშრომელთათვის, 15.40 — ვაჟა-ფშაველას მოთხრობები, 16.15 — რადიოჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.00 — საერთაშორისო მიმოხილვა, 17.15 — კონცერტი რადიომსმენელთა დაკვეთით, 18.00 — ფეხბურთის მატჩის რეპორტაჟი თბილისის „დინამოს“ სტადიონიდან, 19.00 — რადიოჟურნალი „ჩვენი სოფელი“, 19.30 — კონცერტი — „სალხინო“, 20.20 — კონცერტი — დასვენება, 21.00 — ლიტერატურული გადაცემა— „მხატვრული კითხვის ოსტატები“, 22.00 — პოლონური მუსიკის კონცერტი.

ტელევიზია

29 სექტემბერი

18.00 — მოსწავლეთათვის სატელევიზიო ჟურნალი „მერცხალი“, 18.45 — კინონარკვევი, 18.55 — გადაცემა „ბევრი ხაკვები ბევრი რძის საწინდარია“, 19.10 — დოკუმენტური ფილმი „მშვიდობა შენს კერას“ (ქართული ვარიანტი), 20.10 — საესტრადო კონცერტი, 21.00 — ახალი ამბები, 21.15 — მხატვრული ფილმი.

თეატრები

29 სექტემბერი

რუსთაველის სახელობის — ტერეზას დაბადების დღე, **გრიბოედოვის სახელობის** — ორთეოსი ჯოჯოხეთში ჩადის, **სანკულტურის კოლეგები** (აბონ. № 1), **ფილარმონიის საზაფხულო** — საესტრადო ორკესტრი ირინე პოლიანსკაიასა და სხვათა მონაწილეობით, **თოჯინების ქართული** — ცეროდენა (11 ს.), მზეჭაბუკი (4 ს.).

კინო

29 სექტემბერი

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო) — ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი, **ამირანი** (საზაფხული), **ფილარმონიის ბაღი, კიროვის სახელობის პარკი, კომუნარების ბაღი, ნაკადული, საქართველო** (წითელი დარბაზი) — გულივერის მოგზაურობა, **ოქტომბერი** (საზამთრო), **ისანი** (საზამთრო), **სპარტაკი, პლეხანოვის სახელობის კლუბი** (საზამთრო), **ჭავჭავაძის სახელობის კლუბი, კოლხიდა** (საზამთრო) — ბუდაპეშტის სახურავები, **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო) — ჩრდილოეთის მოთხრობა.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

თბილისი, ლენინის 14, ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 9-93-08, 3-08-67, პასუხისმგებელი მდივნის — 9-72-80, სამდივნოს — 3-46-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-22-89, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 3-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების, ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 9-73-24, უცხოეთის — 3-35-01, საილუსტრაციო — 3-20-43, განცხადებების მიღების — 9-94-42.

უე 01137

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.